წელიწადი V/I. 1905 წ. წელიწადი V/I.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 7. კვირა, 27 თებერვალი 1905 წლისა. № 7.

ამ ნომერთან ერთათ ხელის-მომწერთ ურიგდებათ ცალკე დამატება ამ სათაურით: «ბურიის ამბები».

თფილისის ქალაქის მოურავი ამით აცხადებს, რომ შემოწირულებანი ბაქოში 5—11 თებერვალს დაზარალებულთა სასარგებლოთ (განურჩევლათ ეროვნებისა და წოდებისა) მიიღება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10 დან 3 საათამდე.

(3—2) ქალაქის მოურავი **ქ. ვერმიშევი.**

ყოველკვირეული ჟურნალი

„მოგზაური“

(წელიწადი მეხუთე—პირველი)

გამოდის **1905** წლის 16 იანვრიდან ვრცელი პროგრამით.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომართელი, ი. ევდოშვილი, ნ. ელიავა, ია ეკალაძე, ნ. კალანდაძე, ის. კვიცარიძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე, ალ. წულუკიძე, გრ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში: ერთი წლით—**5** მან., ნახევარი წლით—**3** მან. ცალკე ნომერი—15 კაპ. ადრესის გამოცვლა—40 კაპ. წლიური ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„მოგზაურის“ რედაქციაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში—შიო ქუჩუკაშვილთან; ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩა № 7) და ნაძალადევში—წერა-კითხვისსაზოგადოების ბიბლიოთეკაში.
ბათომში—ანასტასია გოგოლაშვილთან.
ბაქოში—ტერენტი წერეთელთან (ქალაქის საბჭოში).
განჯაში—ი. ევდოშვილთან.
ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან (ამხანაგ. „კოლხიდა“).
ოზურგეთში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და ქ-ნ თამარ შარაშიძესთან.
ჩოხატაურში—ალექსანდრე დოლიძესთან.
სენაკში—არსენ წითლიძესთან.
სამტრედიაში—ყარამან ნანეიშვილთან და ალ. მირიანაშვილთან.
სოხუმში—ექიმ პ. ლ. კიკალიშვილთან.
ჭიათურაში—ირაკლი დეკანოზიშვილთან.
ზესტაფონში—სოლომონ წულაძესთან.
სად. მიხაილოვში—ივანე ომიანიძესთან.
ქ. გორში—არსენ კალანდაძის წიგნის მაღაზიაში.

ჟურნალისათვის დანიშნული წერილები და ყოველგვარი კორესპონდენცია უნდა იგზავნებოდეს პირდაპირ რედაქციის სახელოზაზე.—ჟურნალში დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები და მოთხრობები, რომელთა დაბეჭდვას რედაქცია ვერ სცნობს შესაძლებლათ, შეინახება 3 თვის განმავლობაში, ხოლო სხვა წერილებისა და კორესპონდენციების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ვისაც რედაქციისაგან წერილით პასუხის მიღება სურს, უნდა წარმოადგინოს ფოსტის ხარჯი.

რედაქცია იმყოფება: ტფილისში, სიკოლოზის ქ., სახ. № 44.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ. Редакція „МОГЗАУРИ“.**

შინაარსი: გურიის ვითარება, ფ. მახარაძისა.—უმაღლესი რესკრიპტი.—მთავრობის განკარგულება და განცხადებანი.—ომის ამბები.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენციები.—შინაური მიმოხილვა, ნარისა.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—***, ლექსი ნ. ეგვიტიშვილისა.—ფელეტონის მაგიერ, თაგუნასი.—პასუხი თაგუნას, ლექსი მინდვრის თაგვისა.—მუშათა კავშირები, ა. წულუკიძისა.—საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები, თარგ. ლ. ელიავასი.—ჟურნალ-გაზ თეზიდან.—განსაკუთრებული კომისია ბაქოში მომხდარ ამბების გამოსარკვევათ.

გურიის ვითარება.

იმ დროს, როცა კასპიის ზღვის პირას მდებარე ქალ. ბაქოში მომხდარ ამბების საზარელი სურათი ყველას თვალთ წინ გვიდგა, სწორეთ იმ დროს ჩვენში ხმა გავარდა, რომ კავკასიის მეორე დასამხარი, სახელდობ გურია ანუ ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა რაღაც მეტათ საშიშ მდგომარეობაში ვარდება და დიდი განსაცდელიც მოელისო. საქმე იმაში იყო, რომ როცა ბაქოში ორი მოძმე ერის გამხეცებული და გააფთრებული წევრები ერთიერთმანეთს მუსრს ავლებდენ და ადგილთბრივი ადმინისტრაცია კი ამის შემყურე განზე გამდგარიყო, იმავე დროს ოზურგეთის მაზრაში გაგზავნილ იქნა დიდძალი ჯარი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით, რომელსაც ამასთანავე განსაკუთრებული უფლებები ენიჭებოდა. ყოველივე ეს ყრუთ გაისმოდა ადგილობრივ საზოგადოებასა და პრესაში, და იმათზე, ვისაც ამაების ნამდვილი მნიშვნელობა ესმოდა, ეს ხმები მეტათ სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენდენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ამბავი არა თუ ამ ერთი წლის წინეთ, არამედ ნახევარი წლის წინეთაც რომ მომხდარიყო, სრულებით შეუმჩნევლათ ჩაივლიდა, და ჩვენი საზოგადოება და პრესა მხოლოთ მაშინ გაიგებდა ამ ამბავს, როდესაც მას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა. მაგრამ არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის ამბავი, რომ დღეს გარემოება შეცვალა. თუ რა შედეგი მოყვა ჯერ-ჯერობით იმას, რომ მთავრობის განკარგულება ცოტათ თუ ბევრათ თავის დროზე იქნა შემჩნეული, ამაზე ჩვენ აქ აღარ შეეჩერდებით, რადგანაც ყოველივე ეს თავის დროზე ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა. უწინარეს ყოვლისა ყურადღების ღირსი აქ აი რა არის. კავკასიის მთავრობის განკარგულებით, ამ ჟამათ ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა და ბათომის ოლქის კინტრიშის ნაწილი გამოყოფილია ქუთაისის და ბათუმის გუბერნიებისაგან და ექვემდებარება სამოქალაქო საქმეებში კავკასიის ოლქის ჯარში მყოფ გენერალს ალიხანოვს, რომელსაც გუბერნატორის უფლებები მიენიჭა. ამასთანავე გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილ ოფიციალურ ცნობებიდან ჩვენ ვტყობილობთ, თუ რას გამოუწვევია მთავრობის მხრით ზევით აღნიშნული ზომების ხმარება. იქიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ „ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გურიასა და იმის

ახლო-მახლო მდებარე ადგილებში დაიწყო გლეხების აგრარული მოძრაობა მემამულეთა წინააღმდეგ. შემდეგში ეს მოძრაობა მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებათ გადაიქცა. ამ ნიადაგზე მოხდა მრავალი პოლიტიკური მკვლელობა... კავკასიის უმაღლეს მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა მცხოვრებთა დასამშვიდებლათ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო: პროპაგანდა მთავრობის წინააღმდეგ თანდათან იზრდება". ამ ცნობიდან ნათლათ ჩანს, თუ რას გამოუწვევია ოზურგეთის მაზრის და კინტრიშის ნაწილის გამოყოფა და იმათგან ცალკე გუბერნიის დაარსება, და იქ განსაკუთრებული ჯარის გაგზავნა. ვინაიდგან დღეს პრესსის წარმომადგენლებს, თანახმათ მთავრობის განცხადებისა, საშუალება ეძლევა თავისუფალი მსჯელობა იქონიოს გურიის დღევანდელ მოძრაობაზე, ამიტომ პრესის ყველა წარმომადგენელი მოვალეა ამის შესახებ თავისი შეხედულება გამოამჟღავნოს და მით საზოგადოებას გაუადვილოს სინამდვილის და ჭეშმარიტების გაგება. დღეს ის დრო აღარ არის, რომ სიმართლის დამალვამ ან გადაფუჩეჩებამ ვისმეს უშველოს, ამის დრო სამუდამოთ გაქრა. დღეს ყველას წყურია სიმართლის გაგება, რა გინდ მწავე და არასასიამოვნო იყოს ეს სიმართლე ზოგიერთებისათვის. სამწუხაროთ, ადგილობრივმა პრესამ ჯერჯეროობით ამ მხრით ვერაფერი უნარი გამოიჩინა. მარტო სიტყვა „აგრარულის" ხმარება საქმის გამორკვევას კიდევ ვერაფერს უშველიის. საჭიროა თვით მოძრაობის დახასიათება, მისი თვისების შეტყობა.

რას ვხედავთ მართლა დღეს გურიაში? უმრავლესობას გაუგია მხოლოთ ის, რომ იქ რაღაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა ხდება. რით არის ეს მოძრაობა გამოწვეული? სხვისი, გარეშე პირების მონაბერი და შემთხვევითია იგი, თუ ცხოვრების სინამდვილეზე აღმოცენებული და მომწიფებული? ბევრს გონია და მათ შორის, რა თქმა უნდა, მთავრობის წარმომადგენლებსაც, რომ გურიის ხალხის დღევანდელი მოძრაობა რაღაც შემთხვევითი მოვლენაა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს მთელი რუსეთის საზოგადო პირობებთან, რომ გურიის ხალხი მსხვერპლია სახელმწიფოსათვის „მავნე პირების ქადაგებისა" და სხვ. ამიტომაც გურიის მოძრაობა მონათლულია „ბუნტის", ამბოხების და ჯანყის სახელით. საჭიროა გამოირკვეს—აქვს ხსენებულ მოძრაობას რაიმე მსგავსება ხალხის აჯანყებასთან, ან ამბოხებასთან, თუ არა? თუ რომ გურიის მოძრაობა არსებითათ ამბოხება და „ბუნტი" არ არის, იმ შემთხვევაში თავის თავათ იგულისხმება, რომ დღემდის მიღებული ზომები სრულებით შეუფერებელია და ვერასოდეს სასარგებლო ნაყოფს ვერ გამოიღებენ.

ვგონებ მეტია დღეს იმის განმეორება, რომ ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობას ხალხის ეკონომიურ პირობებში აქვს საფუძველი. აქ, ამ პირობებში უნდა ვეძიოთ მისი დასაწყისი, მისი თავი და თავი მიზეზი. თავის თავათ იგულისხმება, რომ როცა ჩვენ ვლაპარაკობთ საზოგადოებრივი მოძრაობის გამომწვევ ეკონომიურ პირობებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების უმრავლესობა დაჩაგრულია როგორც ნივთიერათ, ისე პოლიტიკურათ, უმცირესობის მიერ. ასეთ მდგომარეობას, იმის მიხედვით, თუ საზოგადოების თვითცნობიერება და თავისი თავის შეგნება რამდენათაა განვითარებული, შეუძლია ორ გვარი ხასიათის მოძრაობა გამოიწვიოს ხალხში. მრავალ-ტანჯულ ხალხთა ისტორია მოგვითხრობს, რომ ხალხი უზომოთ ყოფილა შევიწროებული და შეწუხებული; ხალხი ჯერ ვერ გრძნობდა თავის შევიწროებას; შემდეგში იგი ამჩნევს, რომ მისი მდგომარეობა აუტანელია, იგი დაჩაგრული და შეწუხებულია, მაგრამ საუბედუროთ, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ საიდან მომდინარეობს ეს ტანჯვა, რა არის მისი გაჭირვების და დაჩაგვრის ნამდვილი მიზეზი. მაგრამ ხალხს მაინც სურს თავიდან მოიშოროს გაჭირვება, თავი დაახწიოს სიბეჩავესა და დაჩაგვრას. იგი უეცრივ ამოვარდნილ ქარიშხალივით ფეხზე დგება და თითონ არ იცის რისთვის და ვის წინააღმდეგ. აი ასეთ მოძრაობას ქვია ამბოხება, ჯანყი ანუ თუ გნებავთ „ბუნტი". ასეთი მოძრაობა სტიქიური მოვლენაა: ხალხის შევიწროება უზომოა, უკიდურეს ხარისხამდეა მიხწეული და ამიტომ იგი თავს ველარ იკავებს და ჯანყდება. ამნაირი ჯანყი, ანუ ამბოხება ყოველთვის სამწუხაროთ თავდება ამბოხებული ხალხისთვის; ხალხი, მართალია, ჯანყდება და იბრძვის თავის მგომარეობის გასაუმჯობესებლათ, მაგრამ შეუგნებლობის გამო იგი უფრო თავისი თავის წინააღმდეგ მოქმედებს და ბოლოს თავისი მჩაგვრელების გულს ახარებს. ასეთი იყო, მაგ., საშუალო საუკუნეების დასასრულს გლეხების ომი გერმანიაში და ახალი დროის დასაწყისში მუშების აჯანყება, როცა ისინი, იმის მაგივრათ, რომ თავისი მჩაგვრელების—კაპიტალისტების და კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ გაელაშქრათ, სამრეწველო შენობებს და ახლათ შემოღებულ მაშინებს ამტვრევდენ და ამსხვრევდენ, რადგანაც მხოლოთ ამაებში ხედავდენ თავის დაჩაგვრის და შევიწროების მიზეზს. ამგვარ მოძრაობას ყოველგან ჯანყის და ამბოხების ხასიათი აქვს, იგი არ არის გათვითცნობიერებული; დაჩაგრულ ხალხს არ ესმის, ვინ არის მისი ნამდვილი მტერი და რა გვარი მოქმედებაა საჭირო, რომ მის ეკონომიურ და პოლიტიკურ დაჩაგვრას ბოლო მოეღოს. სულ სხვა გვარი მოძრაობაა მუშათა მოძრაობა დღეს, როგორც ევროპაში, ისე რუსეთშიაც, სადაც იგი თვითცნობიერების ნაყოფია. იმას არა აქვს არც ჯანყის და არც ამბოხების ხასიათი; იგი წინდაწინ შემუშავებული პროგრამით ხელმძღვანელობს; იგი არ ქადაგებს ძალ-მომრეობას, იგი უარყოფს კერძო მესაკუთრეთა ქონების აკლებას და განადგურებას, იგი მშვიდობიანი ზომების საშუალებით მიიკაფავს გზას საუკეთესო მომავლისაკენ. ამავე ხასიათისაა დღევანდელი მოძრაობა გურიაშიაც. რომ იგი არ არის ამბოხება და ჯანყი ანუ „ბუნტი", ეს დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. გურიის ხალხი ადგას მშვიდობიან გზას და თუ მას ბუნტოვჩიკების სახელით ნათლავენ, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ეს გზა ახალია. ამ გზაზე გამოიყვანა გურული ხალხი გაჭირვებულ მდგომარეობამ. მართალია, ეს გაჭირვება ბუშინდელი ამბავი როდია, მაგრამ გურული ხალხი არც წინეთ იყო კმაყოფილი თავის მდგომარეობის; განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ დღეს ეს უკმაყოფილება გათვითცნობიერებული მოქმედებით იხატება. ჩვენ არ შევუდგებით აქ იმის მოთხრობას, თუ როგორ დაიწყო და როგორ იზრდებოდა ეს უკმაყოფილება,—ეს დღეს თითქმის ყველამ იცის და არავისთვის დაფარული არ არის. მხოლოთ მოკლეთ მოვიხსენიებთ ამ გზაზე მსვლელობას. პირველი ნაბიჯი გლეხების გაფიცვა იყო მემამულეების წინააღმდეგ. გლეხებმა განაცხადეს: ჩვენ ხელს აღარ გვაძლევს თქვენ მიწებზე ვიმუშავოთ შემდეგშიაც იმ პირობებით, რა პირობებითაც აქამდის ვმუშაობდითო; ამიტომ საჭიროა ამ პირობების შეცვლაო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ხელს ვიღებთ თქვენ მიწებზეო. ერთი სიტყვით, ამიერიდან თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვისო. მემამულეები, რომლებიც მიწის სიმცირის გამო გლეხკაცობაში, დაჩვეული იყვენ დიდ საიჯარო ქირაზე, ამ ამბავმა გააბრაზა და პოლიციას მიმართეს დახმარების აღმოსაჩენათ; მაგრამ საქმე რომ იმათ სასარგებლოთ დაბოლოვებულიყო, მთავრობას აუწყეს, რომ გლეხები ისე ჩვენ არ გვედავებიან, როგორც მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენო, ე. ი. ისინი „ბუნტოვჩიკებია", მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებას ახდენენო. მკითხველი თითონ მიხვდება, თუ გლეხების გაფიცვა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება იყო. ეს უფრო ცი-

ლისწამება იყო. სამწუხაროთ, მთავრობა, ე. ი. ადგილობრივი ადმინისტრაცია, აყვა მემამულეების ფეხის ხმას, რომლებსაც მხოლოთ საკუთარი ინტერესი ამოქმედებდათ. ადმინისტრაციამ ჯერ გლეხებს ტუქსვა დაუწყო, როგორ თუ ბედავთ მთავრობის და მემამულეების წინააღმდეგობასო. გლეხები კი თავის მხრით უცხადებდენ, რომ ჩვენ მთავრობის წინააღმდეგ სრულებით არაფერი არ გვაქვსო. ჩვენ არც მემამულეებს ვებრძვით, მხოლოთ ჩვენ არ შეგვიძლია იმათი მიწები ავიღოთ ყანებათ წინანდელი პირობებითაო, რადგანაც ჩვენ ეს ხელს არ გვაძლევსო. მაგრამ მთავრობა არა თუ არ დაკმაყოფილდა ასეთი ახსნით, არამედ კიდევ უფრო სასტიკ ზომებს მიმართა, რის ჩამოთვლა აქ საჭირო არ არის. ხალხს კი პირველათ ეგონა, რომ მთავრობა მას მიემხრობოდა და მის ინტერესებს დაიცავდა, რადგანაც მთავრობა ხალხით საზდოობს, ყოველგვარ გადასახადს ხალხი იხდის ხაზინის სასარგებლოთ; მაგრამ იმედი გაუცრუვდა: მთავრობამ აშკარათ მემამულეების მხარე დაიჭირა. ამიტომ ხალხმა მთავრობას სულ უფრო და უფრო უნდობლობის თვალით დაუწყო ყურება. რა თქმა უნდა, ეს უნდობლობა არ გამოიხატება რაიმე ძალმომრეობით მოქმედებაში, ე. ი. აჯანყებაში ან ამბოხებაში მთავრობის წინააღმდეგ. რადგანაც ადგილობრივმა პოლიციამ ხალხის თვალში ყოველგვარი ნდობა დაკარგა, ამიტომ ხალხმა თითონ მოინდომა თავისი საქმეების მოწეს-რიგება და პატრონობა. სულ მოკლე ხანში მან განახორციელა თვითმართველობის დედაზრი, იმ თვითმართველობის, რომელსაც ასე შენატრის დღეს საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, როგორც რუსეთში, ისე სხვაგანაც. ხალხი არ ხმარობს არავითარ ძალადობას, იგი წმინდა ზნეობრივ პრინციპებზე ამყარებს საზოგადოებრივ ცხოვრებას. აი ეს არის სინამდვილე, რომელსაც ვერავინ გვერდს ვერ აუვლის. რაც აქ ზევიდან მონაბერია, გარეშე პირთაგან ზეგავლენით ნამოქმედარი, ყოველივე ის თავისთავათ გაქრება და მოისპობა; ხოლო ის, რაც ნამდვილი ცხოვრების ნაყოფია, არაფრით არ ამოიშლება; მის წინააღმდეგ სასტიკი ზომებითაც ვერას გახდებიან. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: ნუ თუ ხალხის გასასწორებლათ, მაში წესიერების დასამყარებლათ, მხოლოთ ის საშუალებებია დღეს, რაც ათასის წლის წინეთ იყო? ნუ თუ უმნიშვნელოთ ჩაიარა კაცობრიობის მთელმა წარსულმა ცხოვრებამ? არა, ჩვენ ეს არ გვჯერა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ძველი ზომები დღეს აღარ გამოდგება და უკუგდებულ უნდა იქნას. ჩვენ გვეტყვიან: მაშ, რით უნდა იქნას აღდენილი მთავრობის სახელი და გამავლობა, თუ არა მისი ძალის ჩვენებითო? ჩვენ კი გვგონია, რომ ეს გზა კიდევ უფრო გაუტეხს მას სახელს ხალხის თვალში, და ბოლოს გვიანღა იქნება. ხალხს ესაჭიროება მთავრობა, მაგრამ ისეთი მთავრობა, რომელსაც იგი ენდობა, რომელსაც იგი პატივსცემს. ხოლო ფიზიკური ძალით არ მოიპოება არც ნდობა და არც პატივისცემა. მიეცით ხალხს თვითმართველობის პრინციბზე დამყარებული მთავრობა და აბა ნახეთ, თუ როგორი პატივისცემით და ნდობით მოეპყრობა იგი ამგვარ მთავრობას. ვიმეორებთ, დღეს ჩვენ ოცნებასთან და ფანტაზიასთან არა გვაქვს საქმე! ჩვენ წინ დგას სინამდვილე, და ყველა ვალდებულია მას ანგარიში გაუწიოს. ვნახოთ, მომავალი რას გვიქადის.

ფ. მახარაძე.

უმაღლესი რესკრიპტი

საშინაო საქმეთა მინისტრის სახელზე:

„ალექსანდრე გიორგის ძევ! რუსეთის ხალხი უძველეს დროიდან ჩვეული იყო გამოეცხადებინა სამეფო ტახტისათვის თავისი გრძნობები როგორც სიხარულისა, ისე მწუხარების ჟამს; ისე ახლა თავად-აზნაურთა და საერობო კრებებმა, ვაჭართა, მოქალაქეთა და გლეხთა საზოგადოებებმა რუსეთის ქვეყნის ყოველ მხრიდან მომილოცეს მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადება და თან გამომიცხადეს, მზათ ვართ მთელი ჩვენი ავლა-დიდება შევწიროთ ომის გამარჯვებით გათავების საქმესაო და მთელი ჩვენი ძალ-ღონით დაგეხმაროთ სახელმწიფო წეს-წყობილების გაუმჯობესებისათვისაო. ხელმწიფე დედოფლისა და ჩემგან მიიღეთ მონდობილება და გადაეცით ყველას, ვინც მოგვილოცა, ჩვენი გულითადი მადლობა უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოცხადებისათვის; ამგვარმა განცხადებამ მით უფრო გვასიამოვნა ამ ძნელ დროს, რომ ერის სურვილი, დამეხმაროს ჩემ მიერ აღიარებულ ცვლილებების განხორციელებაში, შეეთანხმება ჩემ გულითადს სურვილს; ჩვენი სურვილი კი არის მთავრობისა და საზოგადოების მომწიფებულ ძალთა საერთო მუშაობით განხორციელდეს ჩვენ მიერ ხალხის საკეთილდღეოთ განზრახული ცვლილებანი. ჩემ გვირგვინოსან წინაპართა მიხედვით განვაგრძობ რუსეთის სახელმწიფოს შეერთებასა და მოწყობა-მართვას;—ამისთვის განვიზრახე, შეწევნითა ღვთისათა, დღეიდან მოვიხმო ხოლმე ღირსეულნი, ხალხის ნდობით აღჭურვილნი და ხალხის მიერ არჩეულნი პირნი კანონების განხილვასა და შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებათ. რუსეთის ხელმწიფენი ყოველთვის იღებდენ მხედველობაში ჩვენის უდიდეს სახელმწიფოს განსაკუთრებულ პირობებს, ეროვნებათა სხვა-და-სხვაობას, ზოგიერთ ადგილებში მოქალაქობრივ განვითარების სისუსტეს და ამიტომ საჭირო ცვლილებებს მოახდენდენ ხოლმე თანდათანობით და იმის მიხედვით, თუ რამდენათ მომწიფდა ეს საჭიროებანი ჩემის სამეფოს სხვადასხვა კუთხეში, რათა წინ-დაუხედავის სიჩქარით არ დარღვეულიყო ისტორიული კავშირი წარსულთან და თანაც უზრუნველყოფილიყო მომავლისათვის ცვლილებათა სიმკვიდრე და სიმტკიცე. განვიზრახე რა ამ ჟამათ ასეთი ცვლილების შემოღება, დარწმუნებული ვარ, რომ ადგილობრივ საჭიროებათა ცოდნა, გონიერი და გულახდილი სიტყვა ხალხისაგან არჩეულ საუკეთესო პირთა უზრუნველყოფს საკანონმდებლო ნაყოფიერ მუშაობას ხალხისვე საკეთილდღეოთ. ვგრძნობ, რომ რთული და ძნელი საქმეა ამ ცვლილების განხორციელება, იმ პირობით, რომ დაცულ იქნას ჩვენის იმპერიის ძირითადი კანონების შეურყევლობა. ვიცი, თქვენი ხანგრძლივი ადმინისტრატიული გამოცდილება და ამიტომ კეთილათ ვცნობ თქვენის თავმჯდომარეობით დავაარსო განსაკუთრებული საბჭო, რომელიც შეიმუშავებს საშუალებას ჩემის სურვილის განსახოციელებლათ. აკურთხოს უფალმა ჩემი კეთილი განზრახვა და შეგაძლებინოთ თვენ კარგათ შეასრულოთ ეს საქმე ჩემის ხალხის საკეთილდღეოთ. დავშთები თქვენი მუდმივი კეთილის მყოფი“.

ნამდვილზე მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: **„ნიკოლოზ“.**

მთავრობის განცხადება:

კვირას 20 თებერვალს, დღისით, მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილმა დაარღვია წესიერება გოლოვინის პროსპექტზე. ქაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდის შემდეგ, რომელიც გადახდილ იქმნა ბაქოში მოკლულთა სულის მოსახსენებლათ, მოსწავლეთა ჯგუფი ყვირილით გოლოვინის პროსპექტით გაეგზავნა. პოლიცია ურჩევდა დაშლილიყვენ, მაგრამ მოსწავლენი თავისას არ იშლიდენ და დემონსტრატიულათ შუა ქუჩაში მიდიოდენ. დაიშალენ მხოლოთ, როცა ყაზახ-რუსები მოახლოვდენ. თუმცა ასე აშკარათ დაირღვა წეს-რიგი, მაგრამ მე, რადგან ბრბო მცირე-წლოვანთაგან შედგებოდა, პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციას ვუბრძანე შეკრებილნი დარიგებით დაეშალა და ძალა არ ეხმარა. პოლიციამ ჩემი ბრძანება სავსებით შეასრულა.

რათა შემდეგში არ გამეორდეს ასეთი ამბავი, ზნეობრივ მოვალეობათ ვთვლი მივმართო მოსწავლეთა მშობლებს და ვთხოვო დაარიგონ თავიანთი შვილები, რომ უწესოებებში მონაწილეობა არ მიიღონ. დარწმუნებული ვარ, მოსწავლენი შეიგნებენ მშობელთა დარიგებას. ამიერიდან ასეთ ბრბოების გასაფანტავათ პოლიცია კანონში აღნიშნულ ზომებს მიმართავს.

ტფილისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი სვეჩინი.

მთავრობის განკარგულებანი

(„კავკაზ", № 51, 23 თებერვალი)

თოფის სროლის აკრძალვა ბათუმში.

წეს-რიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველათ საჭიროთ ვცან, 1903 წელს მთავარ-მართებლის მიერ ქალაქ ბათუმისთვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დასამატებლათ გამოვაცხადო:

1. ქალაქ ბათუმში, ქუჩებსა და მოედნებზე, აგრეთვე სახლებიდან და სხვა შენობებიდან აკრძალულია თოფის, რევოლვერის ან სხვა იარაღის სროლა.

2. ვინც პირველ მუხლში აკრძალულ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, იმას ან 500 მანეთამდე ჯარიმა გადახდება ადმინისტრატიული წესით ან სამ თვემდე დაპატიმრებულ იქნება. ასეთ სასჯელის დადების უფლებას ვაძლევ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს.

3. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შევა გამოქვეყნების დღიდან.

კავკასიის მთავარმართ. თანაშ. ადმ. გენ.-ლეიტ. **მალამა.**

ოფიციალური ცნობა

1. ქუთაისში მომხდარ დემონსტრაციის შესახებ.

14 თებერვალს დილით ქალ. ქუთაისში ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლენი გიმნაზიის შენობასთან შეიკრიბენ. როცა გაიგეს, რომ სწავლა შეწყვეტილიაო, ყვირილით თავიანთი უკმაყოფილება განაცხადეს, და მერე დაიშალენ. ამასთან ვიღაცამ ორი ფანჯარა ჩაამტვრია შესავალ კარებში. რეალურ სასწავლებლის მოსწავლენი-კი როცა იმათ სწავლის შეწყვეტა გამოუცხადეს, სასწავლებლის ეზოში შევიდენ, ორას კაცამდე შეიკრიბენ და „ურა"-ს ძახილით ორი წითელი დროშა ააფრიალეს, თან რევორველების სროლა დაიწყეს. ერთი ტყვიით უცაბედათ მსუბუქათ დაიჭრა მე-6 კლასის მოსწავლე ალექსანდრე კოსიანოვი. იქვე მყოფმა პოლიციის ბოქაულმა პოლიციელებით მოინდომა სასწავლებელის ეზოში შესვლა, მაგრამ დირექტორმა თხოვა არ შესულიყო და პირობა მისცა, მე თვითონ დავამშვიდებ მოსწავლეებსო. ეზოდან გამოსვლისას, მოსწავლეებმა ბალახვანის ქუჩაზე მოიყარეს თავი. შეიკრიბა 200 კაცამდე. ამათ გიმნაზიელნიც მიემხრენ. ეს ამოდენა ხალხი სიმღერითა და ყვირილით გაემართა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელისაკენ, სადაც მათ დახვდენ პოლიცმეისტერი და ბოქაული. ერთი ნაწილი მოსწავლეებისა გაიფანტა, ხოლო დანარჩენნი, 70 კაცამდე შეიპყრეს და გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის დირექტორებს გადასცეს, რომელთაც მოსწავლენი სახლებში დაითხოვეს და პატიოსანი სიტყვა ჩამოართვეს, რომ არავითარ უწესოებას არ მოახდენენ. მთელი დღე და სალამო რეალურ სასწავლებლის მოსწავლენი ბულვარსა და უმთავრეს ქუჩებზე შეჯგუფებულნი დადიოდენ. თან რევოლვერებს ისროდენ და პოლიციის ბრძანებას არ ემორჩილებოდენ.

სალამოს 5 საათზე ახალგაზდათა ჯგუფმა, რომელსაც ზოგიერთი ნოქრებიც შეუერთდენ, სულ 200 კაცამდე, ქვებისა და რევოლვერების სროლა დაუწყო საპოლიციო დარაჯთა რაზმს, და დაჭრეს ორი ცხენი. ერთი დარაჯის ფარაჯა ხუთ ადგილას აღმოჩნდა ტყვიით გახვრეტილი. თავის მხრით დარაჯთაც ნება-უნებურათ სროლა დაუწყეს დემონსტრანტებს. მთელი სალამო ბულვარიდან, საცხოვრებელ სახლებსა და აივნებიდან ესროდენ ყაზახ რუსებსა და საპოლიციო დარაჯებს. ამის გამო ყაზახებმა და დარაჯებმა იარაღს მიმართეს. ამასთან ზოგიერთი ყაზახი და დარაჯი დაშავდა ქვებისაგან, ხოლო ერთი დემონსტრანტთაგანი, ნოქარი თევდორაძე, მოკლულ იქნა. მძიმედ დაიჭრენ: ხელოსანი ხაბურზანია და ნოქარი ბოკერია; მსუბუქათ დაიჭრენ: გიმნაზიელი ლოლობერიძე, რეალურ სასწავლებლის მოსწავლე ჩიჩუა და ყარაული ბაბუნიშვილი.

2. უწესოება ერევანში

ქალ. ერევანში, 20 თებერვალს, მოედანზე ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანეთს სროლა დაუწყო ორმა მაჰმადიანმა. ამის გამო ატყდა ალიაქოთი და დაიწყო მახლობელ დუქნებსა და სახლებიდან სროლა. ისროდენ უმთავრესათ ჰაერში. მოკლული აღმოჩნდა სამი სომეხი და ერთი მაჰმადიანი, დაჭრილი ერთი ებრაელი, ორი მაჰმადიანი და შვიდი სომეხი. უწესოება მოსპეს ხელათ მოსულმა როტამ, პოლიციამ და დარაჯებმა. გუბერნატორმა მეციხოვნე ჯარის უფროსსა, სომეხთა ეპისკოპოსსა, ქალაქის მოურავსა და აგრეთვე სომეხ და მაჰმადიან საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთათ ქალაქს შემოუარა. ამის შემდეგ ქალაქი თითქო დაწყნარდა.

21 თებერვალს პოლიციელნი საპატიო სომხებსა და მაჰმადიანთან ერთათ უვლიდენ ბაზარს და სავაჭრო ადგილებს. ყველგან მშვიდობიანობაა. დილის 10 საათზე ბაზარში რამდენჯერმე გაისროლეს. ამის შემდეგ სროლა ატყდა ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში ნახევარ საათის შემდეგ პოლიციამ და ჯარმა უწესოება ჩააქრო. სავაჭროები დაიკეტა. დაიჭრა თორმეტი მაჰმადიანი და ექვსი სომეხი. წესიერების დასაცველათ გუბერნატორმა საპოლიციო დარაჯის გარდა ჯარიც დანიშნა.

ომის ამბები.

ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მდინარე შახესა და ხუნხეს მიდამოებში, ქალაქ მუკდენის სამხრეთით მოხდა ის, რასაც დიდი ხნიდან ძრწოლით და შიშით მოელოდენ: ორი არმია, რომელთა ფრონტი გაჭიმული იყო თითქმის ასი ვერსის მანძილზე, ერთი ერთმანეთისაკენ დაიძრენ და სასიკვდილოთ შეებრძოლენ. დაწვრილებით ამბის მოყოლა აქ არ არის საჭირო. იაპონიის ჯარი ჩვეულებრივათ სულ წინ მიდიოდა და რუსის ჯარის პოზიციებს თანდათან იჭერდა; თუმცა გენ. კუროპატკინის მოხსენებიდან ჩანდა, რომ რუსის ჯარი თავის პოზიციებს იმაგრებდა და მტრის იერიშს ყოველთვის იგერებდა, მაგრამ იაპონიიდან მოსული ცნობები რომლებიც არასოდეს გადაჭარბებული არ არის, მხოლოთ იაპონიის გამარჯვებას მოწმობდენ ყოველგან, სადაც კი შეტაკება ხდებოდა. უკანასკნელ მოწერილ ცნობებიდან ჩანს, რომ კუროპატკინს ბრძანება გაუცია უკან დახევისა და მუკდენის დაცლის შედგომია. მარშალ ოიამას კი თავის მხრით ბრძანება გაუცია, რომ იაპონიის ჯარი დიდ ჯგუფებათ არ შევიდეს მუკდენში და არაფრით შეურაცყონ ჩინელ მეფეების დასამარხი ადგილები. ამნაირათ იაპონიელებმა თითქმის სავსებით მიახწიეს თავის მიზანს: მუკდენი დაიჭირეს. გამართლდა ის, რასაც კარგა ხანია წინასწარმეტყველებდენ პირუთვნელი მცოდნე კაცები. დღეს ტოკიოსა და მთელ იაპონიაში გამოუთქმელი სიხარულით დღესასწაულობენ გამარჯვებას და ამის მიზეზიც აქვთ. თუმც ამ ომმა ჩანთქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუარებელი სიმდიდრე, იმსხვერპლა აურაცხელი მოქალაქე, მაგრამ იმათ მაინც მიახწიეს თავის საწადელს. ამ უკანასკნელ ბრძოლაში ორივე მხრიდან გაწყვეტილა 100,000 კაცზე მეტი. ჯერ დაწვრილებითი ცნობები არ არის გამოქვეყნებული და დარწმუნებულიცა ვართო, რომ ამ ცნობებს ჯერ კიდევ დიდ ხინს ვერ გაიგებს რუსეთის ხალხი. ეს უმაგალითო ომია მთელ ისტორიაში. რას ეტყვიან, რა პასუხს გასცემენ შთამომავლობას ისინი, ვინც ეს ყოვლად უსამართლო და ყოვლად შეუსაზარი სისხლის ღვრა გამოიწვია! ან შეიძლება არა გონიათ, ოდესმე დადგეს ისეთი დრო, რომ იმათ პასუხი მოთხოვონ? ეს დრო აღარ არის შორს, იგი თანდათან ახლოვდება, და ხალხის ორგულნი სამაგიეროს მიიღებენ. დღეს კი ყველას ერთი საკითხი აინტერესებს: მიეცემა დასასრული ამ საშინელ ომს მუკდენის აღებით, თუ იმას კიდევ უნდა შეეწიროს ადამიანთა მსხვერპლები? ომი დღეს გათავებულად უნდა ჩაითვალოს: ხალხს აღარ სურს აღარც ეს ომი, აღარც გამარჯვება, რომ ეს გამარჯვება მართლაც შესაძლებელი იყოს დღეს რუსის ჯარისთვის. (პ. ტ. ს.)

სხვა და სხვა ამბები.

ქ. ბაქოს და ბაქოს გუბერნიაში 6-10 თებერვლის სამწუხარო ამბების მიზეზით შემოღებულ იქნა საომარ დროის წეს-რიგი და დაწესდა გენერალ-გუბერნატორობა. გენერალ-გუბერნატორათ გაამწესეს გენერალი თ-დი ი. გ. ამილახვარი. ეს განკარგულება ბაქოში მიღებულ იქნა 18 თებერვალს და იგი მაშინვე დაბეჭდეს და ქუჩებზე გააკრეს. 19 თებერვლიდან პოლიცია და ჯარი ნებას აღარ აძლევდენ მცხოვრებთ კრილობების და მიტინგების გასამართავათ. საღამოს რვა საათის შემდეგ სახლიდან გამოსვლა აკრძალულია.

გაზეთ «კავკაზ»-ს ბაქოდან ატყობინებენ: „ომიანობის დროის წეს-რიგის გამოცხადების შემდეგ დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე საშიში დამნაშავე, მათ შორის ერთი წევრი საერთაშორისო სარევოლიუციო კომიტეტისა და ორი ქალი. იპოვეს მთელი ცალი პროკლამაციებისა, საიდანაც ჩანს რევოლიუციონერთა შორის განზრახვა ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის წინააღმდეგ. პროკლამაცია მაშინ უნდა გაეკრათ ქუჩებში, როდესაც ბოროტმოქმედნი აღსრულებაში მოიყვანდენ თავიანთ განზრახვას.

უმაღლესი ბრძანებით, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე შემოღებულ იქნა საომარ დროის წესები. ეს წესები, როგორც ბრძანებაშია ნათქვამი, სავსებით უნდა იქნას შესრულებული. ამ ამბავს გზათა მინისტრი ატყობინებს რკინის გზის უფროსს და ავალებს აცნობოს გზის მოხელეებს ეს ახალი განკარგულება და განუმარტოს, რომ თავის ნებით არ გავიდენ სამსახურიდან ან უარი არა თქვან, როდესაც სხვა გზაზე იქნებიან გადაყვანილნი. ამიერ-კავკასიის გზიდან შეიძლება მოსამსახურენი გადაიყვანონ სამარა-ზლატოუსტისა, ციმბირისა, ბაიკალისა, იმიერ-ბაიკალისა, უსურიის და ჩინეთის რკინის გზებზე. აქვე უნდა ვაუწყოთ მკითხველებს, რომ საომარ დროის წესების თანახმათ რკინის გზის ის მოსამსახურენი, რომელნიც თავის ნებით მუშაობას თავს მიანებებენ ან პატივსადებ მიზეზის დაუსახელებლათ დადებულ ვადაზე სამსახურში არ გამოცხადდებიან, დაპატიმრებულ იქმნებიან საპყრობილეში ოთხიდან რვა თვემდე.

ამიერ კავკასიის რკინის გზის სხვა მოსამსახურეებსავით, ტფილისის დეპოს მემანქანეებსა და იმათ თანაშემწეებსაც წარუდგენიათ გზის მთავრობისათვის მოთხოვნილებანი თავიანთ ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. სხვათა შორის, თხოულობენ ჯამაგირის გადიდებას, სადგომების ქირას, ამხანაგურ სასამართლოს დაწესებას და სხვა.

ოზურგეთიდან იწერებიან: კრიმ-გირეი შეუდგა გურიაში მოგზაურობას. 22 თებერვალს ინახულა შემოქმედის საზოგადოება. მიმართა სოფლელებს სიტყვით და თხოვა ყველაფერი გულახდილათ ელაპარაკათ. გლეხებმა აუხსნეს თავისი გაჭირვებული მდგომარეობა და განუცხადეს შემდეგი: საჭიროა განთავისუფლდეს დროებით ვალდებული გლეხები სახელმწიფო ხარჯით, მოისპოს ის ბეგარა, რომელიც მარტო გლეხებს აწევს კისერზე, დაუბრუნდეთ სანადელო მიწებში მიცემული ფულები, მიეცეთ ვრცელი ადგილობრივი თვით-მმართველობა და სხვა ვრცელი რეფორმები.

ქუთაისიდან იტყობინებიან: რკინის გზის ლიანდაგზე მომუშავე მუშებმა, რიცხვით ორმოცდა ათმა კაცმა, თავი გაანებეს მუშაობას. თხოულობენ დღიურ ფასის მომატებას. აქამდე 70 კაპ. იღებდენ. ასეთსავე ამბავს იწერებიან სადქვალონიდან.

როგორც ვიცით, თფილისში 23 იანვარს მომხდარ დემონსტრაციის დროს დაპატიმრებულთა საქმის გამოძიება მიენდო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს რიბინსკის. დაპატიმრებული იყო სამოც კაცზე მეტი. გამომძიებელმა პასუხისგებაში მიცემისაგან სამი კაცის გარდა ყველანი გაანთავისუფლა. საგუბერნიო ადმინისტრაციამ, თანახმათ გაძლიერებულ დაცვის წესებისა, ყველა ამათ ადმინისტრატიული წესით გადაუწყვიტა სასჯელი—ზოგს ორის კვირით, ზოგს ორის თვით და სხვა.

20 თებერვალს თფილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს წევრს დ. თ. კობეკოს: «ვინაიდან კავკასიის პრესა დიდათ შევიწროებულია, ჩვენ ვუერთდებით რუსეთის საზოგადო სურვილს შესახებ პრესის თავისუფლებისა და გთხოვთ იმ კომისიაში, რომელმაც უნდა გადასინჯოს კანონები ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, მიიწვიოთ ორი ჩვენგან არჩეული წარმომადგენელი: ერთი რუსულ პერიოდულ გამოცემათა და მეორე ადგილობრივ ენების პრესისაგან".

თფილისის რკინის გზის სახელოსნოებში ამ ჟამათ მუშაობა იწყება დილის $5^1/_2$ საათზე; ცხრა საათზე საუზმობენ ნახევარი საათით დასვენებით. შუადღის სამ საათზე სრულებით თავდება მუშაობა; შაბათობით კი მუშაობა მხოლოთ პირველ საათამდის გრძელდება, ხოლო ჯამაგირების მიღების დღეს კი 12 საათამდის.

ქ. გორიდან ადგილობრივ გაზეთებს ატყობინებენ, რომ 21 თებერვალს ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს თავის მთავრობისათვის სხვადასხვა მოთხოვნები წარუდგენიათ, რის გამო სწავლა შეწყვეტილა. დიდი აღელვება ყოფილა აგრეთვე სამოქალაქო სასწავლებელში და დედათა გიმნაზიაშიაც.

დაბა ყვირილიდან ჩვენ გვწერენ: ამ ჟამათ დროებით დაკეტილია ბაღის მუშების სკოლა, რომელიც საქარის სანერგეში არსებობს. სანერგეს გამგემ მასწავლებლებთან ერთად ერთხმათ გადაწყვიტეს შეწყვიტონ სკოლაში როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობა: 1) რადგანაც მუშების მოძრაობა, რაც გამოიხატება იმათ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებებში, დღითი დღე იზრდება, 2) რად-

განაც მცხოვრებნი მეტათ აღელვებული არიან, და 3) რადგანაც მოსალოდნელია, რომ შეგირდებიც მიემხრონ დღევანდელ მოძრაობას.

სარწმუნო პირებმა გადმოგვცეს, რომ 14 თებერვალს ქ. ქუთაისში პოლიცია და კაზაკები სდევნიდენ არა მარტო იმათ, ვინც დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდენ, არამედ სრულებით უდანაშაულო ხალხს. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია ხაბურძანიას სიკვდილი, რომელიც სასიკვდილოთ დაჭრილ იქნა ტყვიით თავის სახელოსნოში. გარდა ამისა იმავე დღეს, როცა ქალაქის საავათმყოფოში სამსახურის შემდეგ ქ-ნი მ-დე და მისი ამხანაგი სახლში მიდიოდენ, იმათ წინ გადაეღობათ კაზაკები, რომლებმაც ჯერ თოფი გაისროლეს და შემდეგ ხელით დაუწყეს შინჯვა ქალებს. და წარმოიდგინეთ, ეს იმ დროს მოხდა, როცა ქუჩაზე ხალხის ჰაჰანება სრულებით აღარ იყო.

ქ. ქუთაისში 23 თებერვალს გაფიცულან ფოტოგრაფიების მოსამსახურენი, რომელთაც თავისი ყოფა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მოთხოვნები წარუდგენიათ ფოტოგრაფიების პატრონებისათვის.

---

22 თებერვალს დ. სამტრედიაში, დილის 8 საათზე, მძიმეთ დაუჭრიათ უცნობ პირებს პრისტავი ჩიკვილაძე. მეორე ცნობით, ჩიკვილაძე მოუკლავთ. მკვლელები გაქცეულან.

---

19 თებერვალს ქ. ერევანში, საღამოს 7 საათზე მოკლეს საგუბერნიო ექიმი ურაზოვი. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს როგორც ამბობენ, ამ მკვლელობას პოლიტიკური სარჩული უდევს.

ბათომის რკინის გზის სადგურზე საქონლის დასატვირთავათ და გადასატვირთავათ ამუშავებენ სალდათებს.

ქ. ქუთაისში ამ რამდენიმე დღის წინეთ დურგლებსაც აღუკვეთიათ მუშაობა და ჭირის მომატებას თხოულობენ.

ქ. ერევნიდან ჩვენ გვწერენ: 20 ამ თვეს, თერთმეტი საათი იქმნებოდა, რომ ატყდა მთელ ქალაქში საშინელი წვიმა-კვილი, ჟრიამული, მირბოდა ხალხი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მირბოდენ და მიეშურებოდენ ყველა თავ-თავის ბინისაკენ. დუქნები-მაღაზიები ბევრი დაუკეტავი რჩებოდა, ოღონდ კი პატრონს თავისთვის ეშველნა; ეკლესიები დაცარიელდა, ხალხი წირვის გამოსვლას რაღას დაუცდიდა! ყველა მხრიდგან ისმოდა ყვირილი: „თათრებმა აქაც დაიწყეს ბაქოს ამბავიო“. მართლაც გაისმოდა თოფების და დამბაჩების ხმა. ერთ წამს ფეხზედ დადგა მთელი ქალაქი. გარნიზონის უფროსმა საჩქაროდ გამოიწვია მსროლელთა რაზმი, ყაზახთა ასეული და იარაღის მიუმართავად, თავისი ტკბილი სიტყვით და პირადი ჩარევით საქმეში ჩქარა მოსპო სისხლის ღვრა. საღამოთიც მოხდა კიდევ რამდენიმე მკვლელობა, მაგრამ საშინელ სურათს წარმოადგენდა ერევნის ქუჩები 21-ს დილით! ყველა მხრიდგან ისმოდა თოფის ხმა, კვილი, ტირილი, ყვირილი, კაცებზედ ნადირობა გამართეს სომხებმაც და თათრებმაც, ორივე მხრიდგან იყო ბევრი შემაძრწუნებელი სანახავი, ხოცავდენ დიდებსაც, მაგრამ ისეთი მხეცური სიბრაზით კეპავდენ პატარებს, რომ ეს მხეცობა არც ერთს მხარეს არეპატიება და არ მიეტევება.

რედაციამ მიიღო შემდეგი გამოცემანი: 1 „გოგია უიშვილი“, მოთხ. ე. ნინოშვილისა, თარგ. სომხურ ენაზე ყ.—ის მიერ. და 2, „დილარიანი“, თხზ. პეტრე ლარაძისა, გამ. მართა ლარაძის ასულის კნ. შალიკაშვილისა, გვ. VII+794., ფასი ერთი მანეთი.

კორესპონდენციები.

მოსკოვი. ფარმაცევტების გაფიცვა. რიდესაც ძველად მოსიდი მსხვილი კაპიტალი შემოიჭრა ათოიანის საქმეში, წინანდელი წვრილი ათოიანი მოკვდა და ფარმაცევტების დიდ უმრავლესობას მიესაჯა მუდმივი მოჯამაგირეობა. თუ წინეთ ფარმაცევტი, ბრიგადირის დიდებულების მიდების შემდეგ, ცოდვა ათოიანის გახსნას მოელოდა, ეს ადვილი საქმე იყო, ამას მაშინ დიდი ფული არ სჭირდა. სულ სხვა დღეს.

ძველი ფარმაცევტები იტუვიან: ჭადარა მოსამსახურე ბრიგადირს წინეთ ვერ ებრძოდი, უველას თავის ათოიანი ჰქონდა. ახლა ზედაბაც ემსახურებოდა ერთგულათ თავის ბრინციპალს, რადგანაც იმედი ჰქონდა ადრე თუ გვიან საკუთარ ათოიანს გაიჩენდა. მაგრამ კარემოება შეიცვალა საათოიანო საქმეში კაპიტალისტური წესების შემოდებით, რამაც გამოიწვია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წვრილსა და მსხვილ წარმოებათა შორის.

დღევანდელი „ალბორატორია“ ათოიანში მარტოოდენ თეიტიანა და სხვა არაფერი. ქიმიურ-ფარმაცევტიულ წამლების წარმოება საგანგებით ჩამოერთვა ათოიანებს და გადავიდა ქარხანაში. დღევანდელი ათოიანი საკუჭო-საღეგმიცემო საქმეა. იქიდან გამოდევნილია რაციონალურათ წამლების მომზადება, და სამაგიეროთ დამკვიდრებულია სიუალბე და ფალსიფიკაცია. ათოიანის ასეთი დაცემა და სახელის კიტხა გამოიწვია იმ კარემოებამ, რომ ათოიანის პატრონები დღეს კაპიტალისტებია. ათოიანი უნდა ასრულებდეს სანიტარულ დანიშნულებას და არ უნდა იყოს იარაღი ჩარჩების ხელში თავის გასამდიდრებლათ და ხალხის გასაუბედურებლათ. ამ მდგომარეობაში ათოიანს მეტათ სამწუხარო მომავალი ექნებოდა, რომ თვით მოსამსახურე-ფარმაცევტები არ გამოიხიზლებულიუოვენ. დარწმუნდენ-რა მოსამსახურე-ფარმაცევტები, რომ მეპატრონეთ, ათოიანის მესაკუთრეთ გახდომას ვერ ედირსებოდენ, იმათ უმრავლესობამ ჩქარა იგრძნო თავის თავი ბროდეტარიატათ, რასაც მოუვა ათოიანის მეპატრონეთა და მათ მოსამსახურეთა შორის ბრძოლის ჩამოვარდნა. მოსამსახურე-ფარმაცევტებმა იწყეს თავისი მდგომარეობის და მუშაობის პირობების გაუმჯობესობაზე ფიქრი და ზრუნვა, რასაც მოუვა მოედი რიგი გაფიცვებისა.

5 თებერვალს მოსკოვში გაიფიცენ თითქმის უველა ათოიანების მოსამსახურე-ფარმაცევტები, ფერრეინის (ეს ათოიანი ერთი უზარმაზარი ათოიანია, რომელსაც ბადალი არამც თუ რუსეთში, დედამიწის ზურგზე არსად უკვს) ათოიანის გარდა. ფერრეინის ათოიანი გაიფიცა 4 თებერვალს და სადამოზე უველა მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქმნა. ფარმაცევტები თხოულობდენ:

1. 7 საათის სამუშაო დღეს;
2. პენსიონის მოსპობას (ხარჯის და ბინის ფული);
3. სამედიტოროო სამართლის დაწესებას;
4. არავინ არ იქნას დათხოვნილი 6 თვის განმავლობაში, ამ მოთხოვნილების გამო.

25—30 წელიწადი ედოდენ მოსამსახურე-ფარმაცევტები მეათოიანეებიდან მოწყალებას—სამუშაო პირობების გაუმჯობესობას, და ბოლოს რომ დარწმუნდენ, თხოვნა-ვედრებით ვერას გახდებიან—მოითხოვენ სამუშაო პირობების გაუმჯობესობა. კითხვა გადაწყვეტილ დაისვა და დიდი ხნის ნასტრი, საგონებელი ორ რიგათ მუშაობა (двойная смѣна) ერთი დღის განმავლობაში განხორციელდა. მხოლოთ მეათოიანეები ტირიან, რომ დავიდუპენითო. მართლაც, მსხვილ მეათოიანეებმა საგანგებით, თითქმის უნაკლოთ დააკმაყოფილეს მოსამსახურე-ფარმაცევტების მოთხოვნილებანი; წვრილ და საშუალო მეათოიანეებმა დიდხანს იჯიუტეს და სადაც დააკმაყოფილეს მოსამსახურეების მოთხოვნილებანი, ესეც დასძინეს: ჩვენც დაგვდუპეთ,

მაგრამ თქვენც არ დაგეყურებათ ხეირი, რადგანაც ჩვენი ვაჭრობა დაიღუპება.

რაღა თქმა უნდა, წვრილი აფთიაქი ვერ შეძლებს სხვილ აფთიაქის გვერდით ვაჭრობას და დაიღუპება—ამ მხრით მეაფთიაქეების გოდება საფუძვლიანია. მეორე მხრით აფთიაქი თუ სანიტარულ დაწესებულებათ არ იქცევა, აფთიაქის მაღაზიას დაემსგავსება და მით ფარმაცევტისთვის სრულებით საჭირო არ იქნება მეცნიერულათ მომზადება. აბების კეთებისა, წასასობი წამლის მომზადებისთვის, მუშკის დაცხებისთვის, ერთი შუშიდან მეორე შუშაში წამლის გადასხმა-გადმოსხმისთვის საკმარისია წერა-კითხვის ცოდნა და ორ-სამ თვეში ყველა ამაში შვენიერათ გაიწვრთნება ადამიანი. მეცნიერულათ მომზადებული ფარმაცევტი კი საჭირო იქნება აფთიაქში მხოლოთ მაშინ, როდესაც აფთიაქი სანიტარულ დაწესებულებათ გადაიქცევა.

მ დ.

დ. ყვირილა. დღევანდელ საერთო მოძრაობას რამდენიმეთ არც ჩვენი დაბის ნოქრები და ქარგლები ჩამორჩნენ; ამათაც გამოიღვიძეს და მოითხოვეს თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება, სახელდობ, კვირა-უქმე დღეებში დასვენება და. დუქნების დახურვა. რასაკვირველია, ადებს არ მოეწონათ ასეთი მოთხოვნები იმათ ხელქვეითებისაგან და ამიტომ უყურადღებოთ დატოვეს. ნოქრებმა კი გადაწყვიტეს თავიანთ მოთხოვნების გაყვანა, და 13 თებერვალს ორასამდე კაცმა მიატოვა დუქნები და ჩამოიარა ყველა ქუჩები, რის შემდეგ საჩქაროთ დახურულ იქმნა ყველა მაღაზიები. 14 თებერვალს ამ ამბის გამო მაზრის უფროსმა დაიბარა სამაზრო კანცელარიაში ადგილობრივი ვაჭრები და მასთან ნოქრებიც; აქ მოლაპარაკების შემდეგ კანონიერათ იცნეს ნოქრების მოთხოვნები და ისინი დააკმაყოფილეს, თუმცა ზოგიერთნი ძალიან წინააღმდეგნი იყვნენ. ამნაირათ ნოქრებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ამ გამარჯვებას მაშინ ექნება მნიშვნელობა, თუ თავისუფალ დროს ისინი გონებრივ განვითარებას მოახმარებენ.

ლ.

ქ. თელავი. 20 თებერვალს აქაურ, სომხების ეკლესიის ეზო უჩვეულო სურათს წარმოადგენდა: ამ დღისთვის დანიშნული იყო პანაშვიდზე ბაქოში მომხდარ ამბების მსხვერპლთა სულის მოსახსენებლათ და ურიცხვი ხალხი მოსულიყო ეკლესიის ეზოში პანაშვიდის დასასწრებლათ. პანაშვიდის შემდეგ წარმოთქვეს რამოდენიმე გრძნობიერი სიტყვა. განსაკუთრებით კარგა ილაპარაკა ორმა ორატორმა, რომელთა სიტყვებმა ბევრი დამსწრეთაგანი აცრემლა. ერთმა მათგანმა ნათლათ დაუსურათა ხალხს, რა საშინელი და მხეცური სისხლის ღვრა მოხდა ბაქოში, როგორ შეუგნებლათ, უმიზეზოთ და უაზროთ ულეტდენ ძმები ძმებს და მშველელი და დამამშვიდებელი კი არსაით იყო. გამხეცებულმა დაბრმავებულმა ბრბომ არ იცოდა ნამდვილი მიზეზი ამ საშინელებისა; ისინი კი, ვისი მეოხებითაც დაიწყო და გაიზარდა ეს საზარელი ამბები იქვე იდგნენ, მათ გვერდით, ტკბებოდენ შემზარავი სანახაობით და გულში კმაყოფილათ იცინოდენ. ორატორმა დასძინა, რომ ამ გვარი ვაჟბატონები ყველგან იმყოფებიან, აქაც, იქაც, მათ ჩვენც ვიცნობთ და ისინიც გვიცნობენ, ჩვენ თავზედაც გამოგვიცდია მათი საზიზღარი მოქმედების ნიმუშები და ამისთვის ყველა უნდა ეცადოს შეერთებას და ძალის შექნას წინააღმდეგ ასეთ პირთა და პირობებისა.

სომხების ეკლესიის ეზოდან ხალხი ქართველების ეკლესიისაკენ გაემართა პანაშვიდის გადასახდელათ, მაგრამ შეშინებული მღვდელი სადღაც გაპარულიყო და პანაშვიდი უმღვდელოთ იქნა გადახდილი.

ხალხი მშვიდობიანათ დაიშალა.

მეოცე საუკუნე.

შინაური მიმოხილვა.

დღეს შინაური მიმოხილვის იმ ვიწრო ფარგალში მოქცევა, როგორც წინეთ იყო მიღებული ჩვენ პრესაში, ყოვლათ შეუძლებელია. იმ გვარი ფაქტები, რომელზედაც წინეთ შეეძლო შეეჩერებია მკითხველის ყურადღება შინაურ მექრონიკეს დღეს ინტერესს მოკლებულია. სულ სხვა დრო დაგვიდგა, და ყველას აზრი და გონება უფრო, ვრცელ და მნიშვნელოვან მოვლენებისაკენ მიილტვის, იქით, იმ ცხოვრების შუაგულისაკენ არის მიქცეული ჩვენი ყურადღება, იქით მიისწრაფის ჩვენი არსება და ყველანი მოუთმენლათ ველით საყვირის ხმას, რომელიც მოგვთხოვს მსხვერპლს უკეთესი მომავლის შესაქმნელათ. ასეთია ჩვენი სულიერი მდგომარეობა. დღეს არ არის დრო იმ პატარა და წვრილმანი მოვლენების აღნუსხვისა, რომელიც შარშან, მაგალითათ, სავალდებულოც იქნებოდა ამ ადგილას. მართლაც და ვინ უნდა გააკვირვო დღეს ისეთი ფაქტების აღნიშვნით, როგორიც რომელიმე მოხელის ან „მოღვაწის“ ზნეობრივ გაკოტრებას მოწმობს, ან რომელიმე პროფესიის წარმომადგენელის მხრით მისი წოდებრივი ეთიკის ღალატს გვიხატავს, როცა ყველასათვის ნათლათ გამოირკვა, რომ მთელი ის მექანიზმი, რომლითაც დღემდინ ჩვენ სვე ბედს განაგებდენ, ჩვენი ხალხის საწინააღმდეგოთ და საზიანოთ ყოფილა მომართული. და ეს კიდევ ცოტაა. დღეს ამაზე მეტსაც ამბობენ. ამბობენ, რომ სწორეთ იმ მექანიზმმა გარყვნა და გაათახსირა ეგრეთ წოდებული საზოგადოება, და ასე წარმოიდგინეთ იმ წმინდათა-წმინდაშიაც დაიწყო თავის უწმინდური ხელის ფათური, საიდანაც ქვეყანას მხსნელი უნდა მოვლინებოდა და ნათელი მოფენოდა. დიახ, იქაც შეყო ხელი და გველური ქვემძრომლობით უნდოდა შეპაროდა, მაგრამ ბედმა უმუხთლა, სიმართლემ და სისპეტაკემ ვერ მიიკარა ბილწი არსება და თანახმათ ბუნებრივი კანონისა უცხო სხეული გარეთ გამოსტყორცნა. თვით იმ დიადმა მოვლენამ, ხალხის მოძრაობამ კი ფეხი მოიმაგრა, ფრთები მოისხა და შეუდგა „ხალხთ ბორკილის მტვრევის“ საქმეს. დღეს ყველასათვის აშკარა გახდარა, რომ სწორეთ ხალხის, მასსის ხელშია ცხოვრების ჩარხი და მისი ტრიალი. მიხვდა ამას ეგრეთ წოდებული მოწინავე საზოგადოება, მიხვდა რეაქციონერთა ბნელეთის დამცველი გუნდიც, და ორივე მხარე ამ ხალხს ეტრფის და ელაქუცება. დადგა დრო როცა ამ „ცხოვრების გერმა“, უნდა წარმოსთქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა. საკმაოა, ერთხელ კიდევ გაიმეოროს ის მოწოდება რომელიც ცხრა იანვარს მოისმა მისგან, და ცხოვრება სულ სხვა მიმდინარეობას მიიღებს...

აი, ასეთ სანეტარო დროს ცხოვრება გვარგუნა ბედმა. არა ერთი და ორი თაობა ჩაესვენა საუკუნე სავანეს ამ მომენტის მოლოდინში. არა ერთი და ორი პატიოსანი მსხვერპლი შეეწირა ამ წამის მოახლოვების საქმეს, და დღეს ყველა წინ ვიცქირებით, წინ მივისწრაფით, რადგან არც უკან დაბრუნება და არც აწინდელ მდგომარეობაში დარჩენა არ შეგვიძლია. მით უფრო ძნელია ცალკე ფაქტებზე მკითხველის ყურადღების დანაწილება, მით უფრო ძნელია წვრილმანებზე კალმის შეჩერება! დღეს ყოველ პატიოსან კალამს ერთი მოწოდება აკერია წვერზე, ერთი ფრაზის თავისუფლათ გამოხატვა უნდა, რომელიც „ჩვეულებრივ რუსულ ანდაზათ“ გადაიქცა, მაგრამ ჩვენი ვალია ძველსა და ახალსაც ანგარიში გაუწიოთ. მაშ, გაუმარჯოს იმ ახალს, რომელიც შეგნებულათ და მტკიცეთ იმეორებს ამ „ანდაზას“ და შევუდგეთ მოვალეობის აღსრულებას.

* * *

შევუდგეთ, მაგრამ რომელი ერთიდან დავიწყოთ? ყოველ მექრონიკეს და მეთვალყურეს ყურადღება ორათ იყოფა დღევანდელ მოვლენათა შთაბეჭდილების გავლენით. ან რა გასაკვირალია ასეთი მდგომარეობა, როცა ცხოვრება სავსეა ერთიმეორის საწინააღმდეგო მოვლენებით. ვის შეუძლია შეუთანხმოს ერთმანეთს, მაგალითათ, ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ-

სა და დასავლეთში მოხდარი ამბები? რა არის საერთო ბაქოსა და გურიის საქმეებში? პირველი არის ბნელეთის ძალთა წარმოშობილი, მეორე კი ნათლის სხივია ამ ბნელით მოცულ ქვეყანაში; პირველი შემზარავი და გულსაკლავია, მეორე კი წარმტაცი და გამამხნევებელი, სინათლის მომასწავებელია! უკანასკნელის სიდიადე იმდენათ ძლიერია, რომ მან თავდაყირა დააყენა ჩვენი პატრიოტი-ინტელიგენტები. გუშინდელი მისი მოწინააღმდეგენი დღეს ქედს იხრიან ამ დიადი მოვლენის წინაშე; „ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ გურულებისგანო“, გაიძახიან გუშინდელი ურწმუნონი და ცდილობენ მიეკედლონ კიდეც ამ „საქმეს“. ამის წინააღმდეგი ვის რა ექნება, მით უმეტეს, რომ მის წინ უნდა მოიხარონ ქედი, რადგან „უჯარო ღენერლებს“ დღეს გასავალი არა აქვთ, თვით საქმეც ერთობ მტკიცე და ძლიერია და ელფერს ვერავინ უცვლის, მაგრამ ნუ თუ ეს დამახასიათებელი არ არის იმ ჭრელ მოაზრეთა მოღვაწეობისათვის, რომელნიც გუშინ „ლობიოს კაკლებით“ ანგარიშობდენ მსხვერპლებს და ბრალდებითი ოქმებს წერდენ „ხალხის მაცდურთა“ წინააღმდეგ და დღეს კი, დღეს უნდათ შიგ წილი დაიდონ და შემდეგ თქვან: ჩვენც ვხნავდითო!.. თქვან რაც უნდათ და რამდენიც სურთ, ოღონდ კი ხნან და რამე გააკეთონ, მხოლოთ წალმა ხნულის უკუღმა ფარცხვა არ მოინდომონ კი...

წვრილმანია უკანასკნელი ფაქტი, მაგრამ მეტათ დამახასიათებელია ჩვენი „საზოგადოებისათვის“ და სწორეთ ამიტომ აღვნიშნეთ ჩვენც. ეს „საზოგადოება“ ყოველთვის მზა-მზარეულზე მოდის, ფაქტის შემდეგ თანაუგრძნობს მას; ასე იყო წინეთ, ასე არის ახლაც. ეს ძველი ამბავია, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ექსპლოატატორთა იდეოლოგებს გონიათ მოძრაობის ექსპლოატაციასაც შევძლებთო. ასე ფიქრობდენ სხვაგანაც, მაგრამ ყველამ იცით, როგორ უკუღმა გადუბრუნდათ კოჭი...

*
* *

არა ნაკლებ დამახასიათებელია ჩვენი „საზოგადოებისათვის“ „ცნობილი ისტორიკოსის, დიდი პატრიოტის“, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის, თედო ჟორდანიას ინციდენტი. იგი მოწმობს, თუ რამდენათ დაძაბუნებული და დაბეჩავებული უნდა იყოს საზოგადოება, რომელიც მოღვაწის პიედესტალზე აყენებს ყოველ მოკირკიტე-მეისტორიეს, რომელთა ღვაწლი ქრონიკების გადმოწერა-გადმოხატვაში და უკეთეს შემთხვევაში გადათარგმნაში მდგომარეობს. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, რადგან კაცია და გუნება—ერთს ერთი გზით უნდა სამშობლოს აყვავება და მეორეს კიდევ მეორეთი. ყველა ეს სასარგებლო თუ არა საზიანო მაინც არ იქნება, თუ კაცს მართლა ერის სამსახურისთვის უცემს გული. აქ უფრო საინტერესო სხვა მხარეა. იშვიათათ მოინახება ისეთი ერი, რომელსაც ჩვენოდენი ჩინოსანი მოღვაწეები ყავდეს. ყოველი ჩინოვნიკი მოღვაწეთ ითვლება. ამ აზრს ისე მაგრათ ქონდა ფეხი გადგმული ჩვენი „საზოგადოების“ აზროვნებაში, რომ ყოველ კოლეჟსკი რეგისტრატორს ნება ეძლეოდა თავისი თავი საზოგადო მოღვაწეთ დაესახა და ყოველი ჯვარ-მენდალის მიღებისას ამაყათ გადმოეხედა ჩინოთათვის და ეთქვა: დააფასეთ ჩემი დაწინაურება, ხელი შემიწყვეთ, რომ მით ერს სახელი და დიდება შევძინოვო. და „საზოგადოებაც“ ეთანხმებოდა. იყო-თქო, ვთქვი, მაგრამ გამახსენდა, რომ ეს აზრი ჯერაც ცოცხალია და ასე გასინჯეთ, სატახტო ქალაქებშიაც კი გამოაფინეს იგი. აბა რა არის დ. ბაქრაძის გოდება გაზ. „რუსის“ ნომერში გუბერნატორების და გენერალ-გუბერნატორების თანამდებობათა შესახებ? მაგრამ დავუბრუნდეთ „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს“. თედო ჟორდანია თავისი საბაზრო პატრიოტიზმით პირმშო შვილია ჩვენი „საზოგადოებისა“. მისი წარმოშობის მიზეზი არის ერთი მხრით დღევანდლამდის ძლევამოსილი ბიუროკრატიის გამათახსირებელი გავლენა საზოგადოებაზე. ბიუროკრატიისთვის მხოლოთ ისეთი კაცებია საჭირო, რომელთა აზროვნება „რას ინებებთ“-ს თანახმათ შეიძლება აბრუნდ-ჩაბრუნდეს; პატიოსან და მტკიცე მიმართულების ადამიანს სულიც შეეხუთებოდა იმ ატმოსფერაში, და არც თვით მექანიზმი შეითვისებდა. ბიუროკრატიისათვის საჭირო იყო და იქნება, თუ დრო შერჩა, ისეთი კაცი, რომელიც ადვილი მოსამართავია და იმას დაუკრავს, რასაც უბრძანებენ. ამ როლისთვის გამოსადეგი ბევრი აღზარდა ჩვენმა „საზოგადოებამ“, რომელიც თვით არის მეორე და მთავარი მიზეზი თედო ჟორდანიების წარმოშობისა. ჩვენში მუდამ მოწყალების პოლიტიკას ადგენ, ქედ-მოხრილი მუდარით და ბოდიშით თხოულობდენ ყველაფერს, მოთხოვნა კი უცნობი ხილი იყო დღემდის, და რა გასაკვირველია თუ ამ პოლიტიკის მიხედვით ზევით მოხსენებული წარმოდგენა შეიმუშავეს თვით კოლეჟსკი რეგისტრატორებმაც. „საზოგადოება“ ფიქრობდა, თუ ჩვენი ჩინოვნიკები გვეყოლება, ყველაფერი კარგათ მოეწყობაო. ამ პირობებმა შექმნეს თედო ჟორდანია და ისიც ფიქრობდა, რომ სამშობლოს წინსვლისათვის საჭირო იყო მისი დაწინაურება, ხოლო მისი დაწინაურებისათვის საჭირო შეიქნა სამშობლო ენის უარყოფა, მეგრელების არაქართველობა და მისმა ჩინოვნიკურმა აზრმაც აღიარა ის, რაც უბრძანეს, ხოლო „ისტორიკოსის“ დღეიდან ისტორიულმა კალამმა ქაღალდზეც გამოხატა ეს დიდებული აზრი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თევდორე ჟორდანიას ეს საქციელი ისე მშვიდობიანათ ჩაივლიდა, როგორც სხვებისთვის ჩაუვლია და ერთი სიტყვითაც ვერავინ მოიხსენებდა მას, მაგრამ მისდა საუბედუროთ ერთი არა-ჩინოვნიკური სენი დაერთო თ. ჟ-ის ჩინოვნიკურ ხასიათს. მას უნდოდა თავისი მოღვაწეობის სახელი მწერლობითაც გაემტკიცებია და ამისთვის პრესას შეეთამაშა; მაგრამ სწორეთ ამ დროს დაუსხლტა ფეხი და „მოღვაწეობის“ ასპარეზიდან ყირამალა წამოვიდა. ეხლა ველარ შველის ვერც დეპეშები, ვერც წერილები რედაქციის მიმართ და ვერც იმ საბედისწერო „ოტჩოტის“ მეორე გამოცემა. არ აკმაყოფილებს მისი განმარტება დღიურ გაზეთებს, ვერ გვაკმაყოფილებს ჩვენც, რადგან მარტო უსულო ანგარიშზე კი არ არის დამყარებული თედო ჟორდანიაზე შემდგარი აზრი; იქ ცოცხალი მოწმეებსაც ასახელებენ და მხოლოთ იმათ შეუძლიათ აღადგინონ „უდანაშაულოთ დასჯილი მოღვაწის“ სახელი...

მაგრამ ყოველივე ნათქვამი ბ. თ. ჟორდანიას „მოღვაწეობის“ ერთ მხარეს ფენს ნათელს. ხოლო იმის დასამტკიცებლათ თუ რა ჯურის მოღვაწეა ბ. დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი,*) კიდევ ბევრი მაგალითები მოიპოვება მის ანგარიშის იმ ფურცლებზე, რომელიც უცვლელათ დარჩენილა (ანგარიშში 30—31 გვერდებს შუა ჩამატებულია ორი გვერდი, რომილიც ცალკე ფურცელზეა მოთავსებული და შემდეგ ჩაწებებულია. აი ეს არის მისი საბუთი). აქედან თვით დაინახავთ, რომ თ. ჟორდანია ადგია უფრო ვრცელ „სამოღვაწო პროგრამმას“, რომელიც ნამდვილ შეეფერება მის მდგომარეობას. აი ეს ადგილებიც. „მიუხედავათ იმისა, რომ ცოტა ხანია, რაც საეკლესიო სკოლები დაარსდა ეპარქიაში, ამ სკოლების გავლენა მოწაფეთა აღზრდაზე ზნეობისა და სარწმუნოების მხრით ძალიან თვალსაჩინოა. საეკლესიო სკოლების მოსწავლენი შედარებით უფრო კეთილის ზნისა და მტკიცე სარწმუნოების მქონენი არიან, უფროსების პატივისმცემელნი,

*) როგორც გადმოგვცეს, რაღაც უცნაური შემთხვევით, სწორეთ ამ სადავო ანგარიშის შემდეგ მიულია თ. ჟ-იას „დეისტვიტელნობა“, თვით ანგარიშს კი „სტატსკი სოვეტნიკი“ აწერს ხელს.

მღვდლებთან მიდიან ლოცვა-კურთხევისათვის, როცა „ჩინოვნიკებსა“ და საზოგადოთ მთავრობის წარმომადგენელთ შეხვდებიან—გაჩერდებიან, ქუდს მოიხდიან და მოწიწებით თავს უკრავენ (გვ. 15). აი, ამ ავტორიტეტ-პედაგოგის იდეალი აღზრდის საქმეში!..

„არა სასურველ პირობათ, რომელიც სხვათა შორის აფერხებს სამრევლო სკოლების განვითარებას, განსაკუთრებით ოზურგეთის მაზრაში, უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ადგილობრივ ინტელიგენტებს შორის გაჩნდა ჯგუფი, რომელიც ავრცელებს ეკლესიის, მართლმადიდებელთ სამღვდელოების და სამრევლო სკოლების საწინააღმდეგო აზრებს და ხალხში თესავს ღვარძლს, ამბოხებას და წოდებათა შორის სიძულვილს“ (გვ. 11. ანგარიშისა).

„ეპარქიაში ემჩნევა ჩქარი და საშიში ზრდა სარწმუნოებრივ ინდიფერენტიზმს, რომელიც იქამდინაც მიდის, რომ ფარულათ მაჰმადიანობასაც კი ქადაგებს და თანამედროვე ატეიზმსაც; უარყოფს ზნეობისა და საზოგადოების ყოველივე სარწმუნოებრივ საფუძველს. ეს მოვლენა საკმაოთ გამოიხატა გლეხების არეულობებში, ძარცვა-გლეჯაში, სამღვდელოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ პროპაგანდაში, სახელმწიფოსა და სარწმუნოების საწინააღმდეგო მანიფესტაციებში და სხვ. და ამის მოსასპობათ „საჭიროა საეკლესიო სკოლების უზრუნველ ყოფაო, ბრძანებს (გვ. 46), პოლიტიკაში გართული პედაგოგი!

ყველა—ყველაა, მაგრამ ეს მაჰმადიანობის პროპაგნდა სად მოძებნა ამ შორს მჭვრეტელმა პოლიტიკოსმა?!.

ამავე მიზნის და კიდევ „თუნდ მარტო იმ მიზნითაც, რომ ჩვენი მხარე უნდა გარუსებულ იქნეს, რასაც ყველა გულწრფელი რუსის პატრიოტი უნდა ემსახურებოდეს“ (გვ. 43), ბ. თ. ჟორდანიას საჭიროთ მიაჩნია რაღაც პანსიონების დაარსება, სადაც, რასაკვირველია, თავისი ჯურის მოღვაწეებს მოუმზადებს „სამშობლოს“.

ამავე „პოლიტიკური“ მიზნით უნდა მას ბათომში საკვირაო სკოლების დაარსება „სარწმუნოებრივ-ზნეობრივი კითხვებით, რადგან მუშები ეკლესიის გავლენის გარეთ რჩებიან და მტაცებელ-მგლებ-პროპაგანდისტებს უვარდებიან ხელში, რომელთა ცრუ იდეები ძირიანათ არყევენ საზოგადოების, სახელმწიფოს და ოჯახის საფუძველთ“ (გვ. 28).

ასეთია ბ. ჟორდანიას საზოგადო პოლიტიკა, მაგრამ მისი პიროვნების დახასიათება სრული არ იქნება, თუ კერძო „პოლიტიკის“ ნიმუშებიც არ მოვიყვანეთ. ამ მხრითაც საკმაო მასალას იძლევა მისი „ანგარიში“, რომლის მე-11 გვერდზე ეს პატრიოტი-პედაგოგი თავისი პირდაპირი უფროსის და სულის ჩამდგმელის, დეკ. ი. ვოსტორგოვის შესახებ წერს: საოლქო ზედამხედველის თანამდებობის დაარსების შემდეგ საეკლესიო სკოლებმა დეკანოზის იოანნე ვოსტორგოვის სახით მოიპოვეს უძლეველი (МОЩНЫЙ) დამცველი, რომელმაც პირადი გავლენით საეპარქიო საბჭოზე და სამღვდელოებაზე და ეპარქიის უფროსთან შუამდგომლობით ხელი შეუწყო საეკლესიო სკოლებს და თავისი ხელმძღვანელობით დაეხმარა ზედამხედველებს წესიერი ორგანიზაცია დაემყარებიათ შკოლებში“. ამავე უმცროსის უფროსმა, როგორც „ანგარიშის“ 30 გვერდზე ვკითხულობთ, დაარწმუნა ფოთის საზოგადოება, „რომ იგი (დეკ. ვოსტორგოვი!) არის საშობლო ენის დამცველი, ხოლო ყველა დანარჩენები სამშობლო ენის წინააღმდეგნი“... ასე ლაპარაკობს თავის ანგარიშში ბ. ჟორდანია თავის პირდაპირ უფროსზე, ხოლო რას იტყვის იმაზე მაღლა მდგომზე ეს ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ კმარა. ჩვენ ჟორდანია იმდენათ გვაინტერესებს, როგორც ზევით ვთქვით, რამდენათაც ის ჩვენი „საზოგადოების“ დამახასიათებელი ტიპია და ვფიქრობთ, რომ ამ მხრით უკანასკნელი ნიმუშები უფრო საინტერესოც არის; ბევრი არის ჩვენში ამ პოლიტიკანობის და „პოლიტიკის“ მიმდევრები, რომელთა საზიზღრობა სავსებით გამოირკვევა და გამოიფინება საზოგადოების წინაშე, როცა უფრო მძლავრათ დაანათებს მზის შუქი ჩვენ ცხოვრებას.

* * *

დასასრულ, კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი „საზოგადოების“ აზროვნების დაძაბუნებისა, რომელიც მოგვცა „ცნობის ფ-ლის“ თანამშრომელმა ბ. ა—ლიმ. ეს ვაჟბატონი კალამს იღებს ხელში, ამ „განთავისუფლების ხანაში“, იწყებს მკითხველთან „ბაასს“, ლაპარაკობს განახლებაზე და განთავისუფლებაზე, მოჰყავს ფინლიანდიის მაგალითი, რომელმაც მტკიცე მოთხოვნით სეიმი აღადგინა და გვირჩევს ჩვენც მოვითხოვოთ... „ქუთაისის სემინარიის აღდგენა და შემდეგ კიდევ სასულიერო აკადემიის დაარსებაო“!!. ამაზე მეტათ აზრის დაძაბუნება პირდაპირ წარმოუდგენელია! როგორც ხედავთ, კარგათ შეუგნია ავტორს დღევანდელი დღის მოთხოვნილება და ჩვენ ბედს ძაღლი არ დაყეფს, თუ ბევრი გამოგვიჩნდა ამისთანა „მოწინავე მწერლები“...

ნარი.

რუსეთის ქრონიკა

პეტერბურგში 16 თებერვალს პანინის სახალხო სახლში მოხდა თავდაპირველი მოლაპარაკება მუშების მიერ ამორჩეული კაცების იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს დეპუტატების არჩევა სენატორ შიდლოვსკის კომისიაში, რომელიც ამას წინეთ დაინიშნა უმაღლესი ბრძანებით მუშების საჭიროებათა გამოსარკვევათ. სხდომაზე დასწრების ნება მხოლოთ ამორჩეულ კაცებს ჰქონდათ, რაც შეეხება მწერლობის წარმომადგენელთ, იმათ მხოლოთ დიდი მოლაპარაკების შემდეგ ნება დართეს დასწრებოდათ. სხდომის გასნისთანავე კომისიის საქმის მწარმოებელმა აუხსნა დამსწრეთ ხსენებული კომისიის მნიშვნელობა. შემდეგ მუშები შეუდგენ წინდაწინ შემუშავებულ კითხების გარჩევას. ყველანი იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ იმათი ჯგუფები განცალკევებულია: ერთმა ჯგუფმა არ იცის მეორე ჯგუფის საჭიროება, ამიტომ საჭიროთ დაინახეს თავდაპირველათ შეიკრიბონ მოსალაპარაკებლათ თვით ჯგუფები. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ბამბეულობის წარმოების, სტამბების, ლიტოგრაფიების მუშების მოლაპარაკებამ, რომლების თავჯდომარემ წინადადება მისცა კრებას ადგომით პატივი ეცათ 9 იანვრის მსხვერპლებისადმი, რაც ერთ ხმათ შესრულებულ იქნა. რეზოლიუციების შემუშავებამდის წარმოთქმულ იქნა რამდენიმე სიტყვა, რომლებშიაც აღნიშნული იყო ამგვარ მოლაპარაკებითი პირველ ცდა, რუსეთის დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა და აგრეთვე ისიც, თუ რა ზომებს შეუძლია იმათი ხსნა. აი ეს რეზოლიუცია: „ჩვენ, შვიდი განყოფილების ამომრჩევლები, შევიკრიბეთ თავდაპირველ სხდომაზე, და განვიხილეთ რა კომისიის მუშაობის ორგანიზაცია, შემდეგ დასკვნამდე მივედით: 1, რომ თქვენგან შემუშავებული წესი დეპუტატების არჩევისა ხელს გვიშლის ერთათ შევიკრიბნეთ, გავითვალწინოთ ჩვენი საჭიროებანი და ავირჩიოთ ღირსეული დეპუტატები; შეკრების თავისუფლება უნდა გვქონდეს, რომ შევიძლოთ ერთათ მოლაპარაკება, საზოგადო თუ კერძო ხასიათის მოთხოვნათა შემუშავება და განხილვა; 2) თვითონ მუშაობის წესი, თქვენგან მიღებული, ვერ გვაძლევს გარანტიას, რომ ჩვენი საჭიროებანი მართლათ და სრულათ იქნება წარმოდგენილი. ჩვენი მოთხოვნანი არც გადაჭარბებულია და არც შემთხვევითი ხასიათისაა. არც აგიტატორებს გამოუწვევია ისინი და არც უცხოელების მილიონებს, ჩვენ მოთხოვნებს საჯაროთ ვაცხადებთ: იცოდეს ყველამ, რა სურთ მუშებს და რას არ იძლევიან დაინტერესებული პირნი. ამისათვის ჩვენ ვთხოულობთ, რომ: ა) ყველა დეპუტატები ერთათ ესწრებოდნენ კომისიის სხდომებს და არა ცალ-ცალკე, ბ) დეპუტატს მინიჭებული უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება სიტყვის, გ) კომისიის სხდომები

სამჯერო უნდა იყოს, ე. ი. ანკარიშები უნდა იბეჭდებოდეს გაზეთებში უცენზუროთ. 3) თქვენგან მიღებული წესი მუშაობისა უზრუნველ არ ყოფს ჩვენ დეპუტატების პიროვნების ხელ-უხლებლობას. თქვენ განცხადებებში წერია, რომ დეპუტატებს არ დასჯიან „საქმიან ცნობებისათვის“; მაგრამ თქვენ არ აგიხსნიათ, რა მიგაჩნიათ „საქმიან ცნობათ“. ჩვენი დეპუტატები არ უნდა დაისაჯონ, რაც არ უნდა ილაპარაკონ კომისიის სხდომაზე და ამის გარანტია უნდა მოგვეცეს. მხოლოთ მაშინ დავიჯერებთ, რომ ჩვენ დეპუტატებს საპატიმრო არ მოელის, როცა მოვთხოვთ მთავრობას განათავისუფლოს ის ჩვენი ამხანაგები, რომელნიც პირველ იანვარს დაატუსაღეს ჩვენის ინტერესების დაცვისათვის, და როცა ჩვენი ამხანაგები მართლა თავისუფლები იქმნებიან. 4) თქვენგან მიღებული წესი დეპუტატების არჩევისა წვრილ წარმოების მუშებს უფლებას ართმევს თავიანთი წარმომადგენლები უგზავნონ კომისიაში; ამათი მდგომარეობა უკეთესი არ არის; პირიქით, ხშირათ უარესიც არის, ვიდრე დიდ ქარხნებში მომუშავეთა. ჩვენა გვსურს, რომ იმათაც წარმოუდგინონ კომისიას თავიანთი საჭიროებანი. ამიტომ ვითხოვთ, რომ იმათაც ქონდეს უფლება დეპუტატების არჩევისა.

ყველა ამ მოთხოვნის ასრულება შეგიძლიათ პირადათ თქვენ: დიდი უფლება და ძალა გაქვთ მონიჭებული. თუ მთავრობას გულწრფელათ და სერიოზულათ სურს მუშების მდგომარეობის შეცვლა და მათ არსებით საჭიროებათა დაკმაყოფილება ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. პასუხს მოვუცდით 18 თებერვალს 12 საათამდე. თუ არ დაგვაკმაყოფილეს, უარს ვამბობთ დეპუტატების არჩევაზე. თქვენ მიერ შემუშავებულ პირობებში მუშების წარმომადგენლები თავისუფლათ ვერ იმუშავებენ კომისიაში და ამიტომ დეპუტატათ არავინ არ წავა. („რუს. ვედ“.)

◆ როგორც ვიცით, 18 თებერვალს სენატორმა შიდლოვსკიმ მუშებს გამოუცხადა, რომ ბევრი ზემო აღნიშნული მოთხოვნათაგანი არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას, რადგანაც კომისიას და მის თავმჯდომარეს ამის უფლება არა აქვს მინიჭებულიო. და რადგანაც ცხრა ჯგუფიდან შვიდმა უარი განაცხადა დეპუტატების არჩევაზე, ამიტომ კომისია თავის თავათ გაუქმდა. ამის გამო ხელმწიფე იმპერატორმა 20 თებერვალს უმაღლესათ ბრძანა: კომისიის მოქმედება მოსპობილ იქნასო.

ამნაირათ, ასე ხან-მოკლე იყო იმ კომისიის არსებობა, რომელსაც ბევრი, შეიძლება, იმედის თვალით შეცქეროდა.

◆ 13 თებერვალს მოხდა საზოგადო კრება ბალტიის გემების ამშენებელ მექანიური ქარხნის ხელოსანთა და მუშათა, რომელსაც წარმომადგენლები უნდა ამოერჩიათ სენატორ შიდლოვსკის კომისიაში. სულ შეიკრიბა 4000 კაცი. იქვე არჩეულმა თავმჯდომარემ მიმართა კრებას წინადადებით, რომ ქუდების მოხდით მოეხსენებიათ 9 იანვარს მოკლული ამხანაგები. ყველაზე უწინ ილაპარაკა მუშამ, პავლე ლახტიანმა. ორატორმა შემდეგი სიტყვით მიმართა კრებას:

„ამხანაგებო! ხელმწიფე იმპერატორის ნებისამებრ ჩვენ შევიკრიბეთ აქ, რომ საბოლოოთ ავირჩიოთ ჩვენი ქარხნის მუშებისაგან ამომრჩეველი-დეპუტატები, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სენატორ შიდლოვსკის მუშათა კითხვის მომწესრიგებელ კომისიაში. ჩვენ მიერ არჩეულები კარგათ უნდა იცნობდენ ქარხნის მუშების ყოფა-ცხოვრების ყოველივე მხარეს, მათ ყოველი მხრით ნათელ უნდა უონ ეს კითხვა. ჩვენ მიერ არჩეულებმა უნდა დაუმტკიცონ, რომ შესაძლებელია ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ისე, რომ ქარხნების პატრონებს ზარალი არ მიეცეთ. უმთავრესი კითხვები თქვენ ისე კარგათ იცით, რომ მათი განმეორება მე საჭიროთ არ მიმაჩნია. მხოლოთ ვიტყვი, რომ ჩემი მხრით ჩემს და ჩემი ამხანაგების სვე-ბედს ისეთ კაცს მივანდობ, რომელსაც გარკვეულათ უნდა ესმოდეს შემდეგი კითხვების მნიშვნელობა: 1) 8 საათის სამუშაო დღე. 2) დაწესება შრომის შემფასებელ კომისიისა, რომელიც მუშებისაგან უნდა შედგებოდეს. 3) გადიდება 1 მანათამდის შავი მუშების დღიური ქირისა. 4) სიტყვის, კრების და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. 5) გაფიცვათა თავისუფლება, რადგან მხოლოთ ამ საშუალებით შეუძლია რუსის მუშას იმ გზაზე გასვლა, რომელიც ჩვენ და ჩვენს შვილებს ადამიანურ არსებობას მოგვანიჭებს. კიდევ ვიმეორებ: დამშვიდებული სინდისით პირნათლათ შეუდგეთ ჩვენი დეპუტატების არჩევნებს“.

ამ სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ორატორს წამ და უწუმ აწყვეტინებდენ ლაპარაკს შემდეგი შენიშვნებით: „მართალია, სწორეთ ასეა“ და სხვ. („რუს. ვედ“).

◆ ქ. კურსკში 11 თებერვალს ყველა სასწავლებლების შეგირდებს სწავლისთვის თავი დაუნებებიათ და მთავრობისთვის თავიანთი მოთხოვნილებები წარუდგენიათ. პირველი გიმნაზიის შეგირდებს 12 თებერვალს შეუწყვეტიათ სწავლა და ქალების გიმნაზიისაკენ წასულან, მაგრამ ქალებისთვის კარები დაუკეტია მთავრობას და ქუჩაში არ გაუშვია. არ გაუშვიათ აგრეთვე რეალურ სასწავლებლის შეგირდებიც, მაგრამ ამათ გაუმტვრევიათ ფანჯრები, კარები და კარში გასულან. თანდათან ყველა სასწავლებლების შეგირდები შეერთდნენ. პოლიცია პირველათ არ შეხებია იმათ, მაგრამ, როდესაც მთელი გროვა შეგირდებისა მოსკოვის ქუჩისაკენ წასულა, პოლიცმეისტერის ბრძანებით, მოსწავლეებს დაცემიან თავს პოლიციელები, უბნის მეთვალყურენი ხმლებით ხელში და დარაჯები და, აი, აქ მომხდარა საშინელი ამბავი. ბავშვებს ცემდენ თავ-პირში, ისინი ფეხქვეშ უვარდებოდენ გამხეცებულ პოლიციელებს, რომლებიც იმათ ათრევდენ და ფეხ-ქვეშ თელავდნენ. ერთი 11 წლის ბავშვი წაუქცევია დარაჯს, ამოუდვია ფეხ-ქვეშ, წაუვლია ფეხში ხელი და ქუჩის ქვაფენილზე დაუნარცხებია საწყალი ბავშვი თავით. ყველაფრის აღწერა შეუძლებელიაო, უმატებს კორესპონდენტი.

ამ დრამის უკანასკნელი მოქმედება წითელ მოედანზე მომხდარა. აქ პოლიციის საშველათ გამოძევებულა წინდაწინვე მომზადებული და გაწრთვნილი ბრბო ყასბებისა, წვრილ მედუქნეებისა და უსაქმურათ მოხეტიალეთა. ესენი რომ გაფიცულ შეგირდებს გალახვით არ ჯერდებოდენ, ცემდენ ყოველს გამვლელ მოსწავლეს. ერთ სტუდენტს ისე ცემეს, რომ ცოცხალ-მკვდარი ხელით წაიღეს სახლში. ამბობენ, მოკვდაო კიდეც- ერთი გამვლელი გამოესარჩლა ბავშვს, რომელსაც საშინლათ ცემდა პოლიციელი. ბოქაულმა უპასუხა: „ხომ ხედავთ, პოლიცია კი არა ცემს შეგირდებს, არამედ უბრალო ხალხი, რომელიც იფარავს თავის მეფეს, შენ კი კანონის მომხრე ხარო“, და დაუშინა იმასაც. პოლიცია ხელსაც არ ანძრევდა. საღამო ჟამს ასე ლაპარაკობდენ მეფის „დამცველნი“: „რა კარგი იქნება, რომ ხვალაც ასეთი სამუშაო გაგვიჩნდეს: არაყიც დაგვალევინეს და თითო მანათიც დაგვირიგესო“. თავის ყურით გამგონი იწერება, რომ ბოქაულს ალექსეევს ბრბოსთვის მიუმართავს: „მადლობელი ვარ, ძმებო, დახმარებისთვისო“. ერთს მოხუცებულს უამბნია საბჭოს კრებაზე: „საშინელი ამბები ვნახე: 10, 11, 12 წლის ბავშვებს თავ-პირს უსისხლიანებდენო, მით ათრევდენ, ფეხ-ქვეშ თელავდენ, თმებს გლეჯდენ; სახლში რომ დავბრუნდი, ჩემი პატარა შვილი გვერდებ ჩამტვრეული, თავ-პირ გასისხლიანებული დამიხვდა; იქნება საუკუნოთ დასახიჩრებულიც იყოსო. „ღმერთო!,—განაგრძო მოხუცმა—ერთი ჩემი შვილი შორეულ-აღმოსავლეთში სისხლსა ღვრის სამშობლოსათვის, მეორე შვილის სისხლს აი აქ სახლში აქცევს პოლიციაო“. („რ. უ“).

უცხოეთის ქრონიკა.

საფრანგეთი. როგორც წინათაც იყო გამოცხადებული, მთავრობამ შეიმუშავა პროექტი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფაზე. ამ პროექტს მეტათ დიდი და სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ამ რეფორმის დედა-აზრი და მნიშვნელობა შემდეგია: დღეს საფრანგეთში კათოლიკე ეკლესიას მინიჭებული აქვს ყოველგვარი უპირატესობა და უფლებები, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც სახელმწიფო ეკლესიას. საფრანგეთის მოხელეთა იერარქიაში კათოლიკე სამღვდელოება, როგორც ჩვენში მართლმადიდებელი სამღვდელოება, წარმოადგენს ცალკე უწყებას, რომელიც ემორჩილება სარწმუნოებათა მინისტრს, იღებს ყოველ წლივ სახელმწიფო ხაზინისაგან თავის შესანახავათ 40 მილიონ ფრანკს, ცხოვრობს სახაზინო შენობებში, საკუთრივ ფლობს სახელმწიფოს ხარჯზე გაკეთებულ ეკლესიებს, საეპისკოპოსო და სხვა საეკლესიო შენობებს და სხ. და სხ. სამაგიეროთ ეს სამღვდელოება რამდენიმეთ ემორჩილება სამოქალაქო მთავრობას. ვატიკანთან შეთანხმებით სარწმუნოებათა მინისტრს შეუძლია დანიშნოს ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები, და ეპისკოპოსებთან შეთანხმებით კი—ეკლესიების წინამძღვრები და მღვდლები. მაგრამ მას არა აქვს უფლება დაითხოვოს ისინი სამსახურიდან, ან გადაიყვანოს ერთი ადგილიდან მეორეზე.

ეკლესიის გამოყოფის შემდეგ კათოლიკე სამღვდელოების უფლებები ისპობა და ყოველგვარი საკალდებულო დამოკიდებულება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ქრება. სახელმწიფო თავდები ხდება, რომ სინიდისის და სარწმუნოების თავისუფლება ყველასათვის უზრუნველ-ყოფილი იქნება. ვინც ამას დაარღვევს, სახელმწიფო იმას სასტიკათ დასჯის, მაგრამ თითონ არ ერევა წირვა-ლოცვის და სარწმუნოების საქმეებში. სარწმუნოებათა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა ისპობა; ისპობა აგრეთვე ყოველგვარი სუბსიდიები, ყოველგვარი ნივთიერი დახმარება, რასაც აქამდის აძლევდენ კათოლიკე სამღვდელოებას ქალაქების თვითმართველობები. ყველა ეკლესიები და საეკლესიო შენობები უნდა წაერთვას სამღვდელოებას და გადაეცეს სახელმწიფოს და ქალაქების თვითმართველობებს. ყოველგვარი ზრუნვა სარწმუნოების საქმეებისათვის და წირვა-ლოცვისთვის გადადის ნება-ყოფლობით შედგენილ ასოციაციების ხელში. ეს ასოციაციები აშენებენ ეკლესიებს, იწვევენ მღვდლებს და იძლევიან საშვალებას სამღვდელოების შესანახავათ და სამღვდელო პირების აღსაზრდელათაც. სახელმწიფო მიიღებს ზომებს იმის შესახებ, რომ ეს ასოციაციები არ გადაცდენ თავის დანიშნულებას. ამ მიზნით სახელმწიფო უკრძალავს იმათ პოლიტიკაში გარევას. ეკლესიას გარეთ ეპისკოპოსებს და მღვდლებს, როგორც რესპუბლიკის სრულ უფლებიან მოქალაქეთ, შეუძლიათ ითანამშრომლონ გაზეთებში, წარმოთქვან სიტყვები პოლიტიკურ მიტინგებზე და საზოგადოთ მიიღონ აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში; მაგრამ ეკლესია დანიშნულია მხოლოთ ლოცვისათვის, და სამღვდელოებას ფორმალურათ აკრძალული აქვს წარმოთქვას იქ პოლიტიკური ქადაგება, წაიკითხოს ან გააკრას პოლიტიკური ხასიათის მანიფესტი ან მოწოდებანი.

ამნაირათ, ეს ახალი პროექტი არღვევს საუკუნოებით შექმნილ წეს-წყობილებას საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ მთავრობის აზრით იგი ერთბაშათ არ უნდა იქნას სავსებით განხორციელებული. მისი განხორციელება თანდათან და ნელ-ნელა უნდა მოხდეს.

* * *

მძაგს, მეზიზღება ეს სამყარო ბნელით მოცული,
ვერ ვპოვებ შვებას ერთ წუთშიაც მწარ დაჩაგრული;
გული მიკვნესის, გული მიძგერს ცეცხლ-აღგზნებული
და დრტვინავს, შფოთავს სიმწარისგან ხუთვილი სული!..
გაქრი წყვდიადო, თან წარიღე ტანჯვა-წამება,
ჩვენ შენსა ნაცვლათ განთიადი მოგვევლინება!
მაღლა ზეციდან შვების ნამი დაგვედინება
და ჩვენ გმირთ საფლავთ ია-ვარდნი მოეფინება!..

ტანჯულ ძოძმეზე, დაჩაგრულზე გული მიკვდება,
მისსა ტირილზე მეც თვალები ამიცრემლდება,
მთრთოლვარე გულში ბრაზისაგან ცეცხლი მიჩნდება
და დავიძახებ აღელვებით—ძირს ბოროტება!..
გაქრი წყვდიადო, თან წარიღე ტანჯვა-წამება,
შენს მაგივრათა განთიადი ამოშუქდება;
მაღლა ზეციდან ცელქი ნამი დაგვეპკურება
და ჩვენ გმირთ საფლავთ ია-ვარდნი მოეფინება!..

ჩანგისა ჟღერა, წკრიალ-სიმღერა ვერ მანუგეშებს,
სატრფოს ალერსი, წყნარი ღიღინი ვერ აღმაფრთოვნებს,
ანკარა წყარო, მოჩქრიალე ვერ მომბანს წყლულებს,
სანამ არ ვნახავ გამარჯვებულთ მებრძოლთა გმირებს!..
გაქრი წყვდიადო, თან წარიღე ტანჯვა-წამება,
ჩვენ შენსა ნაცვლათ განთიადი მოგვევლინება,
მაღლა ზეციდან შვების ნამი დაგვეპკურება,
და ჩვენ გმირთ საფლავთ ია-ვარდი მოეფინება!..

ნ. ეგვიტიშვილი.

ფელეტონის მაგიერი.

(ქართველი დეკადენტი. Timeo Danaos. Pardon! საკვირველი ცვლილება).

„გამოჩნდა ერთი კაცი“, (იხ. „ივ.“ № 4) რომელსაც შეეცოდა „ივერია“, „გამოჩნდა მეორე კაცი“, (ibid) რომელმაც ამ გაზეთის გამომცემლობა იკისრა, და გამოჩნდა... მესამე კაცი, რომელმაც რედაქტორობა მიიღო თავის თავზე. ეს მესამე კაცი „გამოჩნდა“ დიდის გაჭირვებით და ვაივაგლახით, მარა როგორც იქნა მაინც „გამოჩნდა“ და ნამეტანიც „გამოჩნდა“.

ჯერ იყო და პირველ ნომერში იმ დალოცვილმა „რედ.“-მა იმ ხელა მოწინავე წერილი დაბეჭდა, რომ ღმერთს გეფიცები, რომ შეხედო, შეგეშინება!

ხუთი სვეტი უშველებელი გაზეთისა თავიდან ბოლომდი გამოჭინჭიხულია შავი ასოებით; ასოები, რასაკვირველია, ისეა გადაბმული ერთი მეორეზე, რომ—თუ რამდენიმეს ერთათ ამოიკითხავ, გამოვა სიტყვა, და—თუ თავს შეიწუხებ და რამდენიმე სიტყვასაც შეაკავშირებ—წინადადებას მიიღებ.

შემდეგი შრომა ცოტა უფრო საძნელოა.

ახლა უნდა ეცადო, რომ წინადადებიდან აზროვნების პროცესის შემწეობით რაიმე აზრი გამოიყვანო. მაგრამ ბატ. „რედ.“-ს აქაც ისეთ ნაირათ მოუხერხებია, რომ თითქმის ესეც შესაძლებელი ხდება: ყველა ფრაზას, გარდა ერთი-ორისა, აქვს თავისი აზრი.

უკანასკნელი სტადია შენი შრომისა, ნურას უკაცრავათ, მარა ყოვლად უნაყოფოთ ჩაგივლის.

ბევრიც რომ ეცადო წინადადებიდან გამოყვანილი აზრების თავის მოყრას და ეგრეთ წოდებული „მიმართულების“ გაგებას, მაინც ვერაფერს გახდები.

მე კი ვგრძნობ, რომ ბ. „რედ.“-რი „ეგრეთ წოდებული“ დეკადენტი უნდა იყოს და, რა თქმა უნდა, გაზეთის მიმართულებაც დეკადენტური იქნება.

თუ ჩემი არ გჯერა, ამოიკითხე „რედ.“-ის წერილიდან შემდეგი წინადადება: „ეროვნული კულტურა და პოლიტიკური დემოკრატიული ჩარჩო“ და შეადარე ეს ფრაზა შემდეგ დეკადენტურ ფრაზებს: „თეთრი მწუხარება, ცის ფერი სიყვარული და წითელი აღტაცება“. არც ახლა გჯერა? თუ არ გჯერა, ნუ გჯერა!

რაც შეეხება წერილის იმ ადგილს, სადაც კაზეთი „ივერია“ „მშრომელი ხალხის ინტერესების მებაირაღტრობაზე“ ლაპარაკობს და „ენერგიულ მომხრეობას და ქომაგობას“ პირდება იმავე მშრომელ ხალხს—აქ მაგონდება ერთი ძვე-

ლი რომაელის კლასიკური სიტყვები და უნებლიეთ ვიმეორებ: Timeo Danaos, et dona ferentes!

„ჯერ იყო და პირველ ნომერში“ მეთქი—ასე ვამბობდი მგონი ამ წერილის დასაწყისში, მარა, წარმოიდგინეთ ჩემი გულმავიწყობა, ეს გარემოება, სრულიად აღარ მომაგონდა და „ჯერ იყო-“ს „მერე იყო“ დროზე ველარ მივადევნე. არა უშავს რა! რუსების არ იყოს: лучше поздно, чѣмъ никогда-“ო, დრო—გასული „მერე იყო“ ახლა იყოს!

ივერიის მეოთხე ნომერში, შეამჩნევდით, რა თქმა უნდა, ბ. ფ. გოგიჩაიშვილის ფელეტონს. შეამჩნევდით და წაიკითხავდით კიდეც, რასაკვირველია. როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ფელეტონმა... pardon! ფელეტონმა კი არა, ფელეტონის შესავალმა?

მე სწორე მოგახსენო ძალიან მომეწონა ეს შესავალი. შეამჩნიე, მკითხველო, როგორი გულუბრყვილო ლირიკული კილოთი იწყება ფელეტონი?

ბოდიშებას და პარდონების დასასრული არ აქ: უბოდიშოთ არაფერს არ იხსენიებს ამ ფელეტონში ავტორი,—არაფერს გარდა ერთი გარემოებისა, სადაც, მგონი, ყველაზე უფრო საჭირო იყო ბოდიშის მოხდა:

ბატ. ფ. გოგიჩაიშვილი მოკლეთ გადმოგვცემს გაზ. „ივერიის“ კანხლების პროცესსის ისტორიას და უბოდიშოთ ამბობს, რედაქტორობა მე ვიკისრეო!

აქ კი, მე ვამტკიცებ, ბოდიში აუცილებლივ საჭირო იყო. რატომ?

რატომ და ამიტომ, რომ „მან იცოდა და იცის თავისი მცირე ძალ-ღონე და არასოდეს ფიქრათაც არ გაუვლია გულში, რომ მისი შრომით გაზეთს იმდენი ღირსება მიემატოს, რომ იგი იდეალურ (?) და საქებარ ორგანოთ შეიქნეს და როგორც საზოგაროებისა, ისე იმ საპატიო პირთა (რომელთაც მას რედაქტორობა თხოვეს) განვითარებულ გემოვნებისა და მაღალი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი გახდეს“ („ივ.“ № 4).

ერთი სიტყვით ფ. გოგიჩაიშვილი, თუმცა დარწმუნებული ყოფილა, რომ გაზეთს რიგიანათ ვერ გაუძღვებოდა, მარა რედაქტორობა მაინც უკისრია.

ამ ნაირი წინ დაუხედაოა ასეთ სერიოზულ საქმეში არ უნდა იყოს საქებარი და მიკვრს, რათ მოიქცა ასე ბ. გოგიჩაიშვილი.

მისი არ ვიცი და მე კი ვიტყვი ჩემ შესახებ, რომ ბევრიც რომ მარწმუნონ მანჯურიის ჯარის მთავარ—სარდილობა იკისრე და საქმე გამოკეთდებაო, ამას ვერავითარი გემოვნება განვითარებული და მაღალ მოთხოვნილებიანი საპატიო პირები ვერ დამაჯერებენ.

კარგი, ვთქვათ, ბ. გოგიჩაიშვილს შეცდომა მოუვიდა და დათანხმდა რედაქტორობაზე. მაგრამ სხვაში რომ ამდენ პარდონებს იძახის, აქ ერთი მაინც გამოემეტებია!

მაგრამ მარტო ბ. გოგიჩაიშვილისათვის არ არის საჭირო ბოდიშის მოხდა და პარდონების ძახილი. ერთი პარდონი მართებს იმ ვაჟბატონებსაც, რომელნიც ამ ორი-სამი წლის წინათ ცხარე ცრემლებს აფრქვევდენ გურიის ვითარების შესახებ.

„ხალხი გაირყვნა“, „ძმა ძმაზე ადგა“, „ნედოუჩკები და ნეუდაჩნიკები გამეფდენ გურიაში და გამათახსირებელ თესლს თესვენ ხალხში“, „ყაზახები ჭკუიდან შეშალეს“, „ამას მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს“, „გარყვნილება უნდა ამოიფხრასო“ და სხვა. სად ბრძანდებიან ახლა ეს მწარე ცრემლით მომტირალი ვაჟბატონები?

ისინი ახლაც აქ გახლავან, მარა სულ სხვა ხმაზე ჭიკჭიკობენ. აბა ყური დაუგდეთ:

„ვაშა „გურია“! გურია ათვითცნობიერდა“, „განვითარდა“, „მონურ ფარგალში ველარ თავსდება“ „გონებრივათ დაწინაურდა“ და სხვ.

კი, მარა—სირცხვილი? სირცხვილი სადღაა?

როგორ მოხდა, რომ გარყვნელმა და გამათახსირებელმა თესლმა ასეთი საქებარი ნაყოფი გამოიღო?!

ბოდიში, ვაჟბატონებო, ბოდიში!

თაგუნა.

პასუხი თაგუნიას.

მივიღე დაო, თაგუნია, შენი წერილი,
გადავიკითხე, დავფიქრდი და დავკრიჭე კბილი.
ველარ ვისვენებ, ბრაზისაგან გული მიკვდება.
ოხ, ღმერთო, ღმერთო, ვინა შრომობს და ვინ სუქდება!
ჩვენ ხომ ბევრნი ვართ, სიმარ თლეც და ძალაც ჩვენია.
შორს ჩვენგან შიში, რას დაგვაკლებს კატა კბენია!
ისიც დიდია აქამდისინ რაც სისხლი გვწოვა,
რაც გვატყუილა, დედანაცვლის ძუძუ გვაწოვა.
ეხლა კი დროა, ჩემო დაო, რომ გონს მოვიდეთ
და თეთრ თაგვების მაგიერათ ჩვენ შევიკრიბნეო.
ჩვენზევე ზრუნვა ჩვენ გვეკუთვნის კანონიერი,
თუ არ დაგვთანხმდენ, განვუცხადოთ ბრძოლა ძლიერი.
აბა, დობილო, გადავაბათ კუდი კუდზედ,
შეერთებულნი, იერიშით მივიდეთ ზედა.
შორს ჩვენგან შიში! შემოკრბით თაგვნო, დროა დამდგარი,
რადგანც ასე სურთ, მაშ, თაგვნო, ბრძოლა, ბრძოლა მედგარი!

მინდვრის თაგვი.

მუშათა კავშირები.

(იხ. „მოგზ.“, № 6).

I.

მე 18-ე საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის მრეწველობამ ფართოთ მოიდგა ფესვები, იწყო სწრაფი და შეუწყვეტელი აყვავება და მსოფლიო ბაზრის სრული მეუფე შეიქნა. ვრცელი ბაზრის მოსაპოვებლათ და ზედ გასამაგრებლათ სასტიკი კონკურენცია აიძულებს მრეწველთ მეტი სისწრაფე შეიტანონ წარმოებაში, ცოტა ხნის განმავლობაში მრავალი საქონელი დაამზადონ და თანვე სიიაფით ყველასათვის ხელმისაწდომი და მიმზიდველი გახადონ ნაწარმოები. ამ მიზნის მიხწევა შეიძლებოდა უმთავრესი წარმოების გაუმჯობესებით, ტეხნიკის განკარგვებით და, მართლაც, მე 18-ე საუკუნის მიწურულში მრავალი გამოგონებანი საშუალებას აძლევენ წარმოებას მეტის სისწრაფით და ნაკლების ხარჯით აუარებელი გაიაფებული საქონელით მოფინონ მთელი ქვეყნიერება. თავდაპირველათ შემოვიდა ხმარებაში სართავი მანქანა ჯენი. ეს იყო 1764 წელს. 1771 წელს, წყლის ძალით აამოძრავეს ახალი მანქანა, მხოლოთ 1774 წელს ორივე ეს მანქანები ერთათ შეაერთეს და აამოძრავეს ერთათ რაოდენიმე ათასი ჯარა. საბოლოოთ განაძევა ძველი წარმოების ნიადაგი და ახალი წარმოების საფუძველი ჩაუდგა უატის მიერ ორთქლის ძალის მოხმარებამ. 1785 წელს ორთქლის ძალა სართავ და საქსოვ მანქანას მოახმარეს და მის შემდეგ თანდათანი, სწრაფი ზრდა განვითარება წარმოების ტეხნიკური მხრის მეტათ საგრძნობელი, თვალსაჩინო ცვლილებას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სპობს და ანადგურებს ძველ ურთიერთობას, ადიდებს და ამაგრებს ახალ წარმოებას, ამყარებს ახალ განწყობილებას და მით მთელ სოციალურ წყობილებას ახალ ურთიერთობის ფეხზე აყენებს. წარმოების ყველა დარგი საოცარი სისწრაფით ვითარდება, ვაჭრობის ასპარეზი დღითი დღე ვრცელდება და ამ სივრცის საჩქაროთ გასავლელათ მიმოსვლის, ურთიერთობის საშუალებაც ვითარდება. გემები, რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფები ობობას ქსელივით მოედო

ქვეყანას და დაუახლოვა ერთმანერთს შორეული ქვეყნები, გადააბა დღემდე მოწყვეტილი კუთხეები, აამოძრავა მოძრაობას შეუჩვეველი მცხოვრებლები, დაბადა მრავალი ინტერესები, შექმნა ცხოვრების მრავალფეროვნება. ამ ნიადაგზე ფრთა შეისხა მსხვილმა წარმოებამ, შეიპარა წარმოების ყოველდარგში, გამოყარა მომუშავე წვრილი მწარმოებელნი ქუჩაზე სამუშაოს საძებნელათ, მორეკა სოფლებიდან „ბედის მაძიებელნი"; ერთი სიტყვით, საქირაო მუშათა რაზმი შექმნა და ამ რაზმის წყალობით თავისი სამრეწველო გეგმის შესრულებას მეტი რიხით, მეტი გაბედვით შეუდგა. დღევანდელი მუშა არ გავს თავის წინანდელ თანამოძმეს, მას აღარა აქვს გამდიდრების იმედი, იგი ვერ გაადგამს ფეხს მეორე კლასის საზღვარში, ის იძულებულია თავის კლასის ფარგალში დარჩეს, მისი ინტერესები შეისისხლხორცოს, მით ინუგეშოს და მუდამ მტრული, მოწინააღმდეგი თვალით უცქიროს მეორე ნაპირზე მდგომ, ცხოვრებით კმაყოფილთ გროვას. მათ შორის დიდი უფსკრულია; ეს უფსკრული ღრმავდება, ეს უფსკრული ფართოვდება. ამ უფსკრულზე გადამდგარი მოწინააღმდეგენი საბრძოლველ იარაღებს იმახვილებენ... მანქანამ შესაძლებელი გახადა ქალ-ბავშთა მუშაობა, მანქანამ აუარებელი მწარმოებელი უმუშევრათ ქუჩაზე დაყარა, მანქანამ შეამოკლა სამუშაო ქირა, გააგძელა სამუშაო დღე, გააჩალა ქალაქებში ბინძური, მოშხამული, უჰაერო ბინები მუშებისათვის, შეიტანა შიგ გარყვნილება: სხეულით ვაჭრობა, ლოთობა, სიცრუე, ორპირობა; „მე 18-ე საუკუნის მიწურულიდა მე XIX-ე საუკ. ნახევრამდეო,—ამბობს ერთი ეკონომისტი [1])—„მუშების სიღარიბე და ტანჯვა-წვალება უმაღლეს წერტილამდე ახწევს: მცირე ქირა, საოცარი გრძელი სამუშაო დღე, ცუდი ბინები და სახელოსნოები, გადამეტებული შრომა და ცუდი მოპყრობა, ნამეტურ ქალების და ბავშების, პროფესიონალური სენი, ტიფი, ჭლექი, ფიზიკური დამახინჯება, დაღუპული ოჯახები, არავითარი აღზრდა და სწავლა, პირუტყვული სქესობრივი დამოკიდებულება, მუდმივი ლოთობა, ლენჩური მორჩილება, სასოწარკვეთილება. ამნაირათ შედგა მრავალი მილიონი ხალხი—პროლეტარიატი". საოცარი სურათია! ეს სურათი მძიმე ლოდივით აწვათ კისერზე ყველა ამ ტანჯულთაგანს და ვერ გამორკვეულიყვენ: რათ ხდება ას, ერა საშუალება უნდა ეხმარათ ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. ირგვლივ რაღაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა ხდებოდა, ყველგან და ყველაფერს ცვლილება ეტყობოდა და მასთან ერთათ მათი ცხოვრება მწარდებოდა, მშიერ-მწყურვალნი გარყვნილების წუმპეში იხრჩვებოდენ. აი სწორეთ ასეთ ხანაში დაურჩათ ინგლისის პროფესიონალურ მუშათა კავშირებს ანუ როგორც მათი უწოდებენ ტრედ—იუნიონებს არსებობისათვის ბრძოლის დაწყება. ასეთი კავშირების გაჩენა შესაძლებელი იყო მას შემდეგ, რა რომ ერთ ქარხანაში ერთ და იმვე საქმეს ეწეოდა მრავალი მწარმოებელი. ამ მწარმოებელთა შორის საერთო გაჭირვების დროს შეერთების აზრი ადვილათ დაიბადა და ამიტომ კავშირებიც იქ გაჩნდენ პირველათ, სადაც მსხვილი წარმოებას მოეკრიბა ერთ ადგილას ყოველივე საკუთრებას, საწარმოო იარაღებს მოკლებული მუშები. შრომისა და კაპიტალის გათიშვა, დაპირდაპირება დასაწყისია აგრეთვე მუშათა კავშირების გაჩენის; ეს უკანასკნელნი შრომის ინტერესების დასაცველათ მოვლენილნი უნდა დაეპირდაპირებინათ კაპიტალის ძლიერებისათვის. „მუშათა კავშირები რომ მხოლოთ იქ ჩნდებოდა, სადაც თავშეყრილიყვენ საწარმოო იარაღებს მოკლებული მუშებიო", ამბობენ ინგლისის მუშათა კავშირების ისტორიის საუკეთესო მცოდნე ს. და ბ. ვებნი, „იმითაც მტკიცდება, რომ ასეთი კავშირები არ შემდგარა არც ერთ წარმოებაში, სადაც ასეთი გათიშვა შრომისა და კაპიტალის არ მომხდარა". [1]) „ისეთი საზოგადოების გაჩენა, რომლის მიზანია წინააღმდეგობა გაუწიოს მრეწველებს, შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როცა პირადი დამოუკიდებლობა და ხასიათის სიმტკიცე სუფევს" [2]). ჩვენ უკვე ვიცით, რომ მწარმოებელის საწარმოო იარაღებისაგან განშორება, პირადი დამოუკიდებლობა და კაპიტალის განუკითხველი თარეში მე-18-ე საუკუნის მიწურულში ძლიერდება. სწორეთ ამ დროს აღმოცენდა ინგლისში მუშათა კავშირებიც. ამ დროს დაიწყო ტრედ-იუნიონებმა გაჩენა, ზრდა-ვითარება და ეს ზრდა ვითარება, კანონმდებლობის მუხრუჭებში ხშირათ იწურებოდა; 1799 წელს სრულიად აიწურა; ამ წელს გამოიცა კანონი, რომლის ძალით ყოველნაირი კავშირები აღკრძალული იყო, მხოლოთ კავშირების ქონება სახელმწიფო კუთვნილებათ იქმნა ცნობილი. ამის დასამტკიცებლათ 1800 წელს კიდევ გამოიცა კანონი, რომელიც კატორგას უქადის ყველა იმათ, ვინც რომელიმე შეერთებაში, კრებაში, კავშირებში, რომლის მიზანი სამუშაო ქირის მომატება იქნება, მონაწილეობას მიიღებენ. სწორეთ ამავე დროს მოისპო ის კანონი, რომელიც ხელოსნებს იცავდა გადამეტებულ შრომისაგან. ერთი სიტყვით, მოისპო შრომის დამცველი კანონი და ამავე დროს აიკრძალა შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ ყოველივე კრების, მოლაპარაკების, კავშირების შედგენა. ინგლისის მთავრობამ, საფრანგეთის რევოლიუციით დაზიანებულმა უკიდურესს ზომებს მიმართა ხალხის დასარბევათ, ასალაგმავათ, დასაბეჭავებლათ.

„მართალიაო",—ამბობს ვები,—„კანონით მრეწველთა კავშირებიც აღკრძალული იყო ისე, როგორც მუშების, მხოლოთ, ჯერ კიდევ რომ წარმოვმდგინოთ კანონის აღმსრულებელთა მიუდგომლობა, მაშინაც არაფერს საშიშს წარმოადგენდა ეს კანონი მექარხნისათვის, რადგან თავისთავათ ერთი მექარხნე მუშათა მთელ კავშირს უდრის თავისი ძლიერებით. მაგრამ მსაჯულებიც ხომ მიდგომით სჯიდენ საქმეს"... „არავინ არ სჯიდა დანების ქარხნების პატრონებს, როცა მათ 1814 წელს შეადგინეს საჯაროთ „შეფილდის სავაჭრო და სამანუფაქტურო კავშირი". ამ კავშირის წესდების ძალით ვაჭრებს და მექარხნეებს აღკრძალული ქონდათ შეფილდის ნაწარმოებში იმაზე მეტი ფასი მიეცათ, რამდენსაც წინა წლებში აძლევდენ; ამ უკანონო ხელშეკრულობის დარღვევისათვის დანიშნული იყო ჯარიმათ 100 გირვანქა სტერლინგი. სულ იმ დროს განმავლობაში, მაშინ, როდესაც ათასობით მუშები ისჯებოდენ კავშირების შედგენისათვის, არც ერთჯერ მექარხნე არ ყოფილა დასჯილი იმავე დანაშაულობისთვის"*).

რასაკვირველია ასეთმა სიმკაცრემ მკაცრი წინააღმდეგობა გამოიწვია, მხოლოთ ამ წინააღმდეგობას ორგანიზაცია ეჭირვებოდა და ეს ორგანიზაციები დამალულათ იქა-აქ ჩნდებიან. მუშათა კავშირები სიბნელეში იწყებენ თვის მოქმედებას, ვითარდებიან ამ სიბნელეში და მხოლოთ 1824 წელს შესძლეს გამომზევრება, სინათლეზე გამოჩენა, საქვეყნოთ გამოსვლა. თერძმა-ქარგალმა ფრენსის პლესმა პარლამენტის წევრთან ჟოზეფ იუჯთან ერთათ 1824 წელს შეიტანა პარლამენტში მუშათა კავშირების შესახებ არსებული კანონის გაუქმების წინადადება; ეს წინადადება მიღებულ იქნა და მუშათა პროფესიონალური კავშირები ნება-დართული დაწესებულება შეიქნა. ამ ნება-რთვამ მრავალი ახალი კავშირები გააჩინა, გა-

[1]) ნოსტიცი: „მუშათა კლასი ინგლისში", გვ. 14.

[1]) ს. და ბ. ვებბი: „ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორია", გვ. 30.

[2]) იქვე გვ. 32.

*) ვები: ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორია", გვ. 50.

მოჩნდენ ბევრ ადგილას მიმალული წრეები, პროფესიონალური მოძრაობა მოედო ქვეყანას და საოცარ ჩვენებათ წარმოუდგათ მრეწველებს. ამათ რასაკვირველია, არ დააყოვნეს ჩვეულებრივი წუწუნი და საჩივრები, მაგრამ მიუხედავათ მთავრობის არა კეთილ-განწყობილებისა, მუშათა კავშირები ამ წლიდან ნება-დართული ხილი შეიქნა და ამის შეცვლა ყველას ძალას აღემატებოდა.

ამ ხანებში სამოქმედო ასპარეზზე დაიწყო თავის სიმპატიური მოღვაწეობა ცნობილმა ფილანტროპმა რობერტ ოვენმა. მას არ აკმაყოფილებდა პროფესიონალური კავშირების ვიწრო ხასიათი, მას წადდა დაემსხვრია მუშათა შორის პროფესიონალური საზღვრები და შეექმნა მუშათა საერთო კავშირი განურჩევლათ სქესისა და პიროვნებისა. გონიერმა მოღვაწემ ადრევე შეიგნო ის ჭეშმარიტება, რომ ბრძოლა ვიწრო პროფესიონალურ ნიადაგზე ვერ გარდაქმნიდა თანამედროვე წეს-წყობილებას, ვერ დაამყარებდა ცხოვრების სასურველ წეს-რიგს; ამიტომ მას უნდოდა ბრძოლისათვის შეეკავშირებია ინგლისის ყველა მუშები, შეექმნა „საერთო მუშათა კავშირი“ და მით საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლა-განკარგვას შედგომოდა. მაგრამ ამ გონიერ ადამიანს ახლათ გაფურჩქვნილი ცხოვრების ახალი პირობები ვერ ქონდა რიგიანათ შეგნებული, წარმოდგენილი და ამიტომ უნებურათ უტოპიური აზრის მქადაგებელი შეიქნა. ამ აზრის თანახმათ, ყოველი ბოროტება იქიდან წარმოდგება, რომ ადამიანის ხასიათი არ არის განკარგებული, გაფაქიზებული, რის გამო ადამიანთ ვერ შეუგნიათ უკეთესი საზოგადოებრივი ურთიერთობა, მათ დღევანდელ ხასიათს არ ეხამუშება, არ ქენჯნის თანამედროვე ცხოვრების უსამართლო წყობილება; ამიტომ თავდაპირველათ საჭიროა მუშების ხასიათის გარდაქმნა-გაუმჯობესება და მაშინ გაუმჯობესებული ცხოვრების ფორმის შეგნებაც გაადვილდებაო. ამ აზრის განსახორციელებლათ საჭიროა „საერთო მუშათა კავშირის“ შექმნა, რომელიც იქნება საუკეთესო შკოლა და იარაღი არსებული პირობების შესაცვლელათ. 1833 წელს 6 ოქტომბერს ლონდონის მუშათა კონგრესზე შედგა „მუშათა საერთო კავშირი“; ამ კავშირის წევრთა რიცხვი რამდენიმე ხნის შემდეგ ნახევარ მილიონს აღემატებოდა. კავშირის საქმეებს განაგებდა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ოთხი კაცისაგან შედგებოდა. მისი უმთავრესი დანიშნულება იყო საერთო გაფიცვების მოხდენა. ასეთმა მოქმედებამ სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია მრეწველთა მხრივ და იმათ შემდეგ საშუალებას მიმართეს: ყოველ მუშას მიღების დროს ხელს აწერიებდენ პირობაზე, რომლის თანახმათ მუშას არ ქონდა უფლება კავშირის წევრი ყოფილიყო. მუშების მოუმზადებლობამ და თვით ორგანიზაციის სისუსტემ „მუშათა საერთო კავშირის“ მოქმედება შეაფერხა. მრეწველების და მათ დამქაშების მოსამართლეთა შეუბრალებელმა დევნამ შეასუსტა საერთო აღფრთოვანება, დააუძლურა ერთობა, ასე რომ 1834 წ. თვით რობერტ ოვენმა შეკრიბა კონგრესი ამ კავშირის მოსასპობათ და მის მაგიერ მეორე კავშირი დააარსა: „კავშირი შრომის, კაცთმოყვარეობის და ცოდნის“. ამით ის სავსებით შეეწირა მსხვერპლათ თავის უტოპიურ იდეალს, გადაცდა საბოლოოთ უფრო სწორ გზას და კლასთა წინააღმდეგობის გადაფუჩეჩვას შეუდგა. უკანასკნელი კავშირი ამ მიზანს ემსახურებოდა. მხოლოთ ასეთი მიზანი სრულიად არ იყო ცხოველმყოფელი; სასტიკი წინააღმდეგობის, თვალსაჩინო კლასთა ბრძოლის გამწვავების დროს, ასეთი აზრი მეტათ უადგილო, უგუნური და განუხორციელებელი გამოდგა. ამიტომ მას მალე მოესპო სიცოცხლე. საერთო უკმაყოფილებამ, რომელიც საერთო კავშირში უნდა მომწიფებულიყო, ამ კავშირის განადგურების შემდეგ, გადმოხეთქა აღელვებულ ზვირთებათ საერთო მოძრაობაში, რომელიც ისტორიამ ჩარტისტების სახელით მონათლა.

ა. წულუკიძე.

(შემდეგი იქნება).

საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები.

(რუსულიდან თარგმ. ლ. ელიავასი)

(შემდეგი.—იხ. „მოგზ.“ № 5).

IV.

ამგვარათ, სახელმწიფო კრებებს შეემატა ახალი ელემენტი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ორი ახალი ელემენტი. მეორე ახალი ელემენტი იყო სასულიერო წოდება, რომელსაც თუმცა აზნაურების კრებაში მონაწილეობის უფლება ქონდა, მარა არაფრათ ეინტერესებოდა, რადგან მას სრულიად სხვა საშვალება ქონდა სახელმწიფოში თავის ინტერესების დასაცველათ. ეხლა კი, როდესაც წარმომადგენლობით კრებებს (ახლა მართლაც შეიძლება ამ კრებებს დაერქვას წარმომადგენლობითი) ქალაქის დეპუტატების სახით ახალი ძალა და მნიშვნელობა მიემატა, სასულიერო წოდებამ ხელ-ახლა მიაქცია მას დიდი ყურადღება.

ამგვარათ ეს წარმომადგენლობითი კრებები საერობო კერებებათ გადაიქცა, და მრავალ სხვადასხვა ფორმას ღებულობდა, სასულიერო წოდება შეერთდებოდა ერთ პალატათ, და ქალაქის დეპუტატები მეორე პალატას შეადგენდა. ხან აზნაურობა და სასულიერო წოდება გაიყოფებოდა. მაშინ სამი პალატა იყო. ისეც მოხდებოდა, რომ თვით აზნაურება გაიყოფოდა მაღალი და დაბალ აზნაურობათ. და ზოგჯერ დაბალი აზნაურობათ მდაბალ მოქალაქეთა წარმომადგენელებს უერთდებოდა, ზოგ ადგილას პირობები იმდენათ შეუწყობდა ხელს რომ გლეხებიც კი ახწევდენ თავს ფეოდალურ უღელს, თავისუფალ მიწის მუშათ ხდებოდენ, ისეთ მნიშვნელობას მოახდენდენ ხოლმე, რომ მათი გვერდის ახვევაც შეუძლებელი იყო, მაშინ მათი წარმომადგენლებიც ღებულობდენ საერობო კრებებში მონაწილეობას. ისინი ან მოქალაქეთა წარმომადგენლებს უერთდებოდენ, ან ახალ განსაკუთრებულ წოდებას, მეოთხე წოდებას შეადგენდენ.

ამ წოდებათა წარმომადგენლებისა კრებებმა მალე მოიპოვეს ძალა და გავლენა. რადგან რამდენათ უფრო ვითარდებოდა ხელობა და ვაჭრობა, იმდენათ კლებულობდა მიწების შემოსავალი და ვეღარ ფარავდა სახელმწიფო ხარჯებს. პროფესიონალური მსაჯულები, რომლებიც ჯამაგირებს ღებულობდენ, უმეტესათ რომაელი იურისტები, თანდათან მრავლდებოდენ; უმაღლეს სამართალთან ერთათ მათ ხელში გადადიოდა დაბალი სამართლის ზოგიერთი ნაწილიც. იმ დროს, დაახლოვებით მე-XIV საუკუნეში, შემოვიდა წესათ და ფეხი მოიკიდა ჯარების დაქირავება. სამართალი და ომი, სახელმწიფოს ეს ორი უმთავრესი საქმე, სულ თანდათან უფრო ძვირათ ჯდებოდა. იმატა აგრეთვე ხარჯმა იმ განცხრომის, ფუფუნების, გამო, რომელიც აყვავებული იყო მეფის კარზე. მეფეებს ფული შემოაკლდათ, და ეს ნაკლებობა თანდათან მატულობდა. დაიწყო ევროპის მეფეების „გაღარიბება“.

ეხლანდელ მსხვილ მემამულეებსავით, ისინი ყოველ ღონეს ხმარობდენ საქმის გამოსაკეთებლათ. სულ უბრალო საშუალება იყო ვალების აღება; ამას გარდა სხვადასხვა უპატიოსნო სპეკულიაციები, ფულების ფალსიფიკაცია, მდიდარ მოქალაქეთა, უმეტესათ მდიდარი ებრაელების გაძარცვა და სხ...

მარა ყველა ამ საფინანსო პოლიტიკურ საშვალებებს, თუმცა შემოქონდა ფული, მარა მაინც საკმარისი არ იყო სახელმწიფო და მეფის სასახლის ხარჯების დასაფარავათ, რო-

მელიც თანდათან მატულობდა დღითი დღე ცხადი ხდებოდა მათთვის, რომ თუ ქვეშევრდომნი არ გაიღებენ რასმე სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოთ, ისე გასაჭირი დიდი იყო. აი ამ დროს შემოიღეს გადასახადები ფულათ.

მარა ამ გადასახადს მეფეები ყოველთვის ისე ვერ ღებულობდენ, თუ თავის მხრითაც რასმე არ დაუთმობდენ. საქმე იქამდის მიდიოდა, რომ სახელმწიფოს ფაქტიურათ მართავდა წოდებრივი წარმომადგენელთა კრების მიერარჩეული კომიტეტი და მეფე მხოლოთ პასიური იარაღი იყო ამ კომიტეტის ხელში.

ეს კრებები თანამედროვე პარლამენტის წინამორბედი იყო, ნამდვილ კი ჯერ-ჯერობით იმავე ნიადაგზე იდგა, როგორზედაც ზევით აღნიშნული სახელმწიფოსა და თემების წოდებრივი წარმომადგენლების კრებები.

კრების თვითეული წევრი მოდიოდა არა მთელი ერის წარმომადგენლათ (ან ერის რომელიმე კლასის წარმომადგენლათ), არამედ, როგორც რომელიმე მტკიცეთ შემოზღუდული კორპორაციის და განკერძოებული ტერიტორიის წარმომადგენელი. რომელსაც ზოგჯერ მარტო ამისათვის ირჩევდენ ქალაქის, ან საეკლესიო კორპორაციის წარმომადგენლათ, ან თვით ქონდათ შთამომავლობითი უფლება თავის სოციალური მდგომარეობის წყალობით, როგორც საერთო ან სასულიერო მიწის მესაკუთრეებს.

თითვეული კორპორაციის, ანუ ტერიტორიის მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული ხელშეკრულობით იყო გარკვეული და ამიტომ ახალი გადასახადის გაწერა მათი წევრების დაუთანხმებლათ არ შეიძლებოდა. პირველ ხანებში უმრავლესობა უმცირესობას ძალას ვერ დაატანდა მარა, რასაკვირველია, ისეც ხდებოდა, რომ უმცირესობას აიძულებდენ უმრ,ვლესობის გადაწყვეტილება მიეღოთ.

თუ კრების წევრი მონაწილეობდა არა როგორც წარმომადგენელი, არამედ როგორც არჩეული რომელიმე კორპორაციის ანუ ტერიტორიის მიერ, მის ხმას ამ შემთხვევაში მხოლოთ მაშინ ექნებოდა ძალა, როცა მისი თანახმა გახდებოდენ მისივე, ამომრჩეველნი. პრელატებს უნდა ქონოდათ თავიანთი კონვენტისაგან თანხმობა, ქალაქის დეპუტატებს ქალაქის საბჭოსგან ან სათემო კრებისგან. რათა წოდებათა წარმომადგენლების საკრებულო თანამედროვე პარლამენტათ გადაქცეულიყო და მოკავშირეთა საკრებულო—საეროთ, საჭირო იყო ჯერ გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც საშუალო საუკუნოების სახელმწიფოების სათემო კრებების და კორპორაციების ადგილი უნდა დაეჭირა, შემდეგ კი ამ წვრილ-წვრილი ორგანიზაციებას ვიწრო პარტიკულიარიზმს ეროვნებისათვის უნდა დაეთმო ადგილი.

ეს მოახდინა კაპიტალისტური წარმოების წესმა.

(შემდეგი იქნება).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გაზ. „ცნობის ფურცლის“ №2754-ში მოთავსებულია ქ. ფოთიდან გამოგზავნილი წერილი, რომელსაც ხელს აწერენ: ნ. ნიკოლაძე, კ. მიქაბერიძე და ი. ფანცხავა. წერილის ავტორები ეხებიან ამიერიდან ყველასათვის „ცნობილ მოღვაწის“, ბ-ნ თედო ჟორდანიას, ყოვლად დასაგმობ მოქმედებას. მაგრამ ხსენებულ ავტორების წერილი არა ამ მხრით არის საყურადღებო ჩვენი საზოგადოებისათვის. ვისაც კი ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში თვალ-ყური უდევნებია „ივერია-ცნ.-ფურცელისათვის“, იმას უეჭველათ ეხსომება, თუ ეს ორი გაზეთი რა თავგამოდებით და დაჟინებით თხოულობდენ, რომ ზევით დასახელებული წერილის ავტორებს თავისი აზრი გამოეთქვათ ბ-ნ ჟორდანიას შესახებ ქართულ ენის გამოდევნის გამო საეკლესიო სკოლებიდან, და იმავე დროს კიდევაც კიცხავდენ იმათ ხმის ამოუღებლობისათვის. მაგრამ ზევით დასახელებული პირები კრინტს არ ძვრიდენ, თითქო ენა ჩავარდნიათო. და აი ამას წინეთაც „ცნობ. ფურ.“-ის მე-№ 2744 ბ-მა კალამმა შემდეგი სიტყვებით დაბოლავა თავის წერილი ბ-ნ თედო ჟორდანიას შესახებ: დასასრულ მივმართავ ბბ. ნიკოლაძეს, ფანცხვას და მიქაბერიძეს, მათი ზნეობრივი მოვალეობაა (ხაზს ჩვენ ვუსვამთ), ახლა მაინც ამოიღონ ხმა ალექსანდრე ეპისკოპოსის დასაცველათო“. ეჭვი არაა, ბევრ მკითხველს ბ-ნ კალამის სიტყვები სამართლიანი ეჩვენებოდა. და წარმოიდგინეთ, ამ შემთხვევაში ჩვენც დარწმუნებული ვიყავით ბ-ნ კალამის სიტყვების სიმართლეში, თუმცა მის სიტყვებს ჩვენთვის არასოდეს ფასი არ ჰქონებია. სამწუხაროთ, ეს ამ შემთხვევაშიც ასე გამოდგა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ როგორც „ცნობის-ფურცლის“, ისე მისი თანამშრომლების სიტყვებს ყოველთვის ეჭვის თვალით უნდა უყურებდეთ. და ეს აშკარათ გამოამჟღავნა დღეს თვით „ცნობის-ფურცლის“ რედაქციამ. როგორც ზევით დასახელებულ პირების წერილიდან ვტყობილობთ, ხსენებულ პირებს ჯერ კიდევ 1903 წელს გაუგზავნია წერილი ბ-ნ ჟორდანიას საქციელის შესახებ როგორც გაზ. „ივერიისათვის“, ისე „ცნობის ფურცლისთვისაც“, მაგრამ არც ერთ რედაქციასმათი წერილი არ დაუბეჭდია. როგორც ხედავთ, ხსენებულ პირებს თავისი ზნეობრივი მოვალეობა სულ თუარა რამდენიმეთ მაინც შეუსრულებიათ; „რამდენიმეთო“, ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რომ იმათ სხვა გაზეთის საშვალებითაც შეეძლოთ თავისი წერილის გამოქვეყნება, მაგრამ, სამწუხაროთ, ზნეობრივი მოვალეობა ჩვენში მეტათ კიწროთ, ცალმხრივათ, ესმით. მაგრამ ამას თავი დავანებოთ და ვიკითხოთ: თვით „ცნობის-ფურცლის“ რედაქციამ როგორღა შეასრულა თავის ზნეობრივი მოვალეობა თავისი მკითხველების წინაშე? რას ფიქრობდა ბ-ნი კალამი, როცა თავის გულის წყრომას უცახდებდა ბბ. ნიკოლაძეს, მიქაბერიძეს და ფანცხოვას? ან შეიძლება მან არ იცოდა რა ხსენებულ პირების წერილის ამბავი? მაშ, შეიძლება, არც „ცნობის-ფურცლის“ რედაქტორმა იცოდა ეს, იმ რედაქტორმა, რომელიც ახლა აცხადებს: „ჩვენი რედაქცია იმ დროს არავითარ წერილებს არა ბეჭდავდა „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილების საპასუხოთო“? რა შუაში იყო აქ „ივერია“? განა ამას ქვია საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა! არა, არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა! არ გაკეთდება საქმე მარტო იმით, რომ ლიბერალური ფრაზებით საჭრელო თავისი გამოცემის ფურცლები.

**

თუ რა როლს ასრულებს ხსენებული რედაქცია საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, ამას სხვათა შორის ამტკიცებს იმავე გაზეთის, № 2751—ში მოთავსებული ამბავი ქ. ქუთაისიდან. იქ, სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ „ქალაქთან დადებულ პირობის ძალით წყლისაყვანისა და საელექტრონო ტრამვაის ამხანაგობა ვალდებული იყო დაემთავრებია წყლისაყვანი გასული წლის 25 იანვრამდეო. მაგრამ გავიდა ამოდენი ხანი, და წყლისაყვანის საქმე მაინც შეჩერებულია. კაცმა არცკი იცის, სად არის ბ-ნი მიხაილოვიო“! როგორც ხედავთ, ამ საქმის შეჩერებას და შეფერხებას მარტო მიხაილოვს ახვევენ თავზე. ახლა ვიკითხოთ: ვინ არის ეს მიხაილოვი?—ეს ის მიხაილოვი არ არის, რომელმაც რვა ათას მანეთიანი შენობა ასოც ათას მანეთათ დაუჯინა ჭიათურის შავი ქვის მრეწველებს? ეს ის მიხაილოვი არ არის, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავდა ბ-ნი ზდანოვიჩი მრეწველთა კრებაზე ამ ორი წლის წინეთ,—ის ზდანოვიჩი, რომელიც „ცნობის-ფურცლის“ რედაქციას უცდომელ პაპათ მიაჩნია? გარდა ამისა, ხსენებული რედაქცია რადაი მიხაილოვისკენ გვითითებს? მიხაილოვმა ხომ წყლისაყვანის საქმე ამხანაგობას გადაცა, რომლის მმართველი და ბატონ-პატრონი უფრო ახლოა და არც დამალულია! მკითხველმა, შეიძლება არ იცის, თუ სახელდობ ვინ ბრძანდება ეს მმართველ-ბატონი! ეს ჩვენი ნაცნობი „გმირია“, ქუთაისის ბელადი, ე. ი. ბ-ნი ზდანოვიჩი და სხვა არავინ! იმედი გვაქვს, ამ ბნელი საქმის გამოსარკვევათაც მოვიცლით ამ ცოტა ხანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზ. „ივერიაში“ (№ 8) დაბეჭდილია შემდეგი წერილი;

ბატონო რედაქტორო! ფრიად სასიამოვნო ამბავი ამოვიკითხე თქვენი გაზეთის ფურცლებზე, სახელდობრ ის, რომ გურულებს საშუალება გვეძლევა გაზეთის შემწეობით ჩვენი გასაჭირი გამოვსთქვათ საზოგადოების წინაშე. თუმცა ჩემ ჩვენებლს კერძო ხასიათიც უძევს, მაგრამ მთელი საზოგადოების უკმაყოფილება კერძო კაცთა უკმაყოფილებისგან შედგება. მიზეზი გურულების მოძრაობისა მრავალია, მაგრამ ის კაცმწვავა უმთავრესათ ადგილობრივ ადმინისტრაციის შეუფერებელმა მოქმედებამ... მთელი ქვეყნის წინ ამისთანა საქმეები ხდება.

შარშან მოკლეს ამ-დღეების საზოგადოების მცხოვრები თეოფილე მახარაძე. ვინ იყო მკვლელი, უველამ იცის და თითონ ისიც მკვლელობას არ უარყოფს. იმის მაგივრათ, რომ მკვლელი სამართალში მიეცათ, ის დღესაც თავისუფალია და ბოდიციისგან ნება აქვს მიდებული ატარის ბერდანის თოფი. მკვლელობის შემდეგ, ბირველ ხანებში, ის ჩარიცხულ იქმნა სტრაჟნიკათ და ჩახატურში ახლა ბრისტავს.

ამავ წელს მოკლეს ბასიდეთის მცხოვრები ბესარიონ გოგობერიძე. მკვლელი უშიშრათ ადიარებდა თანის საქციელს, მაგრამ დასჯის მაგმგრათ, მან ბოდიციისგან ნება მიიღო ბერდანის ტარებისა და ამასთანვე მხლებლათ დაუყენეს სახელმწიფო სტრაჟნიკი.

უცნაური იყო აგრეთვე მკვლელობა ეველასგან სოფელში კარგათ ცნობილის ადექსი გირგელიანისა, რომელიც ეელ-გამოჭრილი ეპოვეს ერთ დღეს თავის სახლის ახლო. ამ მკვლელობამ ხალხი ძლიერ აშფოთა და მას განსაკუთრებითს ხასიათს და მნიშვნელობას აძლევდენ...

ეველა ეს გარემოება ძალიან ადელვებდა გურულებს და უკარგავდა რწმენას იმ ბირებისადმი, რომელნიც განაგებენ გურიის საქმეებს.

მეც თურმე მიზანში ვარ ამოდებული და ამ სამის კაცის ბედს მიქადიან. და დღეს ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით მინდა ვაცნობო საზოგადოებას, რომ მზადა ვარ შეურეველი საბუთებით დავამტკიცო ეველა ზემოთ ნათქვამი და აგრეთვე ვაუწყო ისეთი ფაქტები, რომელთა შესახებ, აქ, გაზეთში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერა ვწერ.—სოფ. ბახვის მცხოვრები მედქისელქ მახარაძე.

ბ-ხი მელ. მახარაძის წერილს განმარტება აღარ ესაჭიროება: ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინონ!

განსაკუთრებული კომისია

ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრის მიზეზების გამოსარკვევათ.

18 თებერვალს ბაქოში, გენერალ-ადიუტანტის თავ. ამიღახორის ბინაზე გაიხსნა კრება განსაკუთრებული კომისიისა, რომელსაც ვალათ ედო გამოეკვლია ბაქოში მომხდარ საზარელ ამბების მიზეზები. კრებას თავმჯდომარეობდა თავ. ამიღახორი. მიწვეული იყვენ სხვათა შორის გაზ. „კასპის“ და „ბაქოს ფუწ“-ს რედაქტორები, მაგრამ ესენი კრებას არ დასწრენ.

კრების გახსნისას თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა კომისიას და აუხსნა მას, რომ, თუმცა ბრესაში და მთავრობის მიერ უკვე გამოცხადებული იყო, რომ ბაქოში ვითომც სრული სიმშვიდე დამყარებულიყოს, მაგრამ ეს მართალი არ არის და უმაღლესმა მთავრობამ საჭირო ცნო სამუდამო სიწყნარის ადგილებისთვის სამხედრო დროის წესები შემოედო. ამის დაგვარათ მას შეუძლია ჯარის შემწეობით ჩაცხრილოს ეოველგვარ არეულობა.

შემდეგ თავმჯდომარემ თხოვა კომისიის ელაბარაკათ მხოლოთ იმ კითხვების შესახებ, რომელნიც არ გამოდიოდენ მთავარ მართებლის თანამდებობის ამსრულებელის მიერ ადნიშნულ ბრიგრამის ფარგლიდან და არ შეხებოდენ საზოგადო კითხვებს.

ერთმა წევრთაგანმა, გუკასოვმა, შენიშნა, რომ ბრესის წარმომდგენლები არ იყვნენ კრებაზე და მიზეზი იკითხა. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ მან თხოვა იმათ მოსულიყვენ და, რახან არ მოვიდენ ძალიან ხომ ვერ მოვიყვანდითო.

გუკასოვმა გამოთქვა ის აზრი, რომ სასურველია კრებაზე ბეჭდვითი სიტყვის წარმომდგენელთა დასწრება ხალხის ადელვების დასამშვიდებლათო. შემდეგ განაცხადა, რომ მიზანი ამ კომისიისა არ არის გარკვეული და სჯა-ბაასს—შესახებ ბაქოში მოხდარ ამბებისა მხოლოთ მაშინ ექნება მნიშვნელობა, როცა საზოგადო საკითხებზე დაბარაკიც შესაძლებელი გახდება, წინასამდეგ შემთხვევაში ეს კომისია თავის გაკვლენას იქონიებს გამოძიებაზე და უკანასკნელიც იხელმძღვანელებს კომისიის კრებით, რაც საქმის გამორკვევას ხელს შეუშლისო. გაკვლენა საზოგადოებაზე ერთი წევრთაგანი საჭიროთ ცნობს მოიწვიონ გაზეთების საშუალებით ეველა, ვისაც შეეძლია ბაქოს ამბების ნათელყოფა. ამაზე თავმჯდომარე უპასუხებს, რომ ეგ შეეძლებელია, რადგან ამ ნაირმა განცხადებამ შეიძლება თავი მოუყარონ კომისიაში სხვა და სხვა არა ლეკალურ საზოგადოებების წევრებს, რომელნიც ცალმხრივს და არა სარწმუნო ჩვენებას წარმოადგენენო. შემდეგ თავ. ამიღახორი ხელ-ახლა თხოვს კომისიის წევრებს წარმოუდგინონ მას ისეთი ფაქტები, რომელთა საშუალებით მას დანისძიება მიეცეს შეეკითხოს იმ კითხვის გამოსარკვევათ რაგორც სამხედრო მთავრობას, ისე ადგილობრივ ადმინისტრაციასაც. ბ. ვეზიროვი გამოთქვამს იმ აზრს, რომ გამოძიებელი კომისიას უფლებები რაც შეიძლება უნდა გაფართოვდესო. სთავრობამ მოახსენა კრებას, რომ ჯარის თვალწინ ცარცვავდენ და კლავდენ ხალხს და ჯარი კი ხელსაც არ ანძრევდა, რადგან, ადამთ არ ქონდა ნაბრძანები საქმეში ჩარეულიეო.

საკმაო იყო თავშიგე 300-400 ჯარის კაცი გაეგზავნათ დასამშვიდებლათ, რომ საშინელი ულტა არ გამძვინვარებულიეო-ვო. ბ. ტაგინოსოვი ამბობს, რომ ახმედ-ბეგ ადას უნახავს, რაგორ ჩამორბოდენ გორაკიდან 50-60 თათარი, რომელნიც თუმც ჩახეულები და ჩაგდეჯილები იყვენ, მარა შვენივრათ შეიარადებული იყვენ ბერდანკებით და ახალი ათეტრის რეგოლვერებითო. გუკასოვი ამტკიცებს, რომ საქმის გამოსარკვევათ საჭირო შეეხონ საზოგადო ხასიათის მიზეზებს, რადგან უამისოთ არაფერი გამოვა. თავმჯდომარე ხელმეორეთ ითხოვს, რომ თავი დაანებონ რადაც „საზოგადო მიზეზებს, რომელსაც ბაქოს საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვსო.

ტოტა ხნის დასვენების შემდეგ კრება ხელ ახლა გაიხსნა. თავმჯდომარე თხოვს ეველას, რომ იქონიონ გაკვლენა საზოგადოებაზე, რათა სრული სიმშვიდე დამყარდეს ქალაქში წინასამდეგ შემთხვევაში სასტიკი სასჯელი მოელოს ეველას. ის სახლი, რომელის სახურავიდან ან ფანჯრიდან ვინმე სამხედრო ბირს ესვრიან, წამში განადგურებული იქნება და მერე კი გვიან-და სეველურიო.

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.

საეკლესიო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის.

თვეში ორჯელ, სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი ივნვარიშუბა 1-დ ნოემბრიდან 1-დ ნოებრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთათ ორივე გამოცემა ღირს წელიწადში **5** მან., ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა—2 მან. 50 კ., ცალ-ცალკე—1 მ. 50 კ.; თვეში ღირს 40 კაპ. ხელის მომწერს შეუძლია თვეში თითო მანეთი შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კაპ., მცირე ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმოფუბა ადგილსნდრიგის ქ., № 5, სახლი ბაბაგისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიანი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ“. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „Накадули“

Дозволено цензорою. Тифлисъ, 25 февраля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი თავ. გრ. ნ. დიასამიძისა, სასახლის ქ